პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

შაბათი 25 იანვარი 1941 წ. № 20 (6025) ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ XVIII პარტკონფერენციას

ფერადი მეტალურგიის მუშაკთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება

იანვრის პირველი 20 დღის შედეგები

შეჯამებულია ფერადი მეტალურგიის საწარმოთა იანვრის 20 დღის მუშაობის შედეგები.

XVIII საკავშირო პარტიული კონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე, სპილენძის მრეწველობის მაღაროელებმა ახალი საწარმოო წარმატებანი მოიპოვეს. სპილენძის ამოღების ორი დეკადის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. კარგად მუშაობს ტრესტი „კიროვგრადმედრუდა". დავალება გადაჭარბებით შეასრულა ტრესტმა „კრასნოურალმედრუდამ". წინ არის შახტი „კრას-...

...რომელმაც ორი დეკადის დავალება გადამეტებით შეასრულა.

გადაჭარბებით არის შესრულებული გაუწმენდელი სპილენძის მოპოვების ორი დეკადის გეგმა.

სპილენძსადნობ ქარხნებში ერთ-ერთი პირველი ადგილი შეჯიბრებაში წინანდებურად უკავიათ კიროვგრადისა და მოლოტოვის სახელობის ქარხნების კოლექტივებს.

ფერადი მეტალურგიის სახკომატის მთელმა თუთიის მრეწველობამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა იანვრის 20 დღის დავალება. ფერადი მეტალურგიის ...

შედეგები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნებისა ბორჯომის № 507 საარჩევნო ოლქში

საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობით, 1940 წლის 22 დეკემბერს მოხდა კავშირის საბჭოს არჩევნები ბორჯომის № 507 საარჩევნო ოლქში.

კენჭისყრაში სულ მონაწილეობა მიიღო ამ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,81 პროცენტმა.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,88 პროცენტმა.

საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულია ბორჯომის № 507 საარჩევნო ოლქში კავშირის საბჭოს დეპუტატად ამხ. კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის არჩევა. (საქდესი).

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია

საუბარი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან, აკადემიკოს ვ. ლ. კომაროვთან

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ ნება დართო საქართველოს სახკომსაბჭოს მოაწყოს მეცნიერებათა აკადემია. ახალი აკადემია გაიხსნება საქართველოს სს რესპუბლიკის 20 წლისთავზე ამა წლის 25 თებერვალს. საქარ-...

...ტორი და კანდიდატი, პროფესორები. განუწყვეტლივ მიმდინარეობს ახალი მეცნიერთა კადრების მომზადება: ფილიალში დაახლოებით 60 ასპირანტი სწავლობს.

საქართველოს მეცნიერებამ ამ უახლოესი ხანის დიდი წარმატება-...

საკოლმეურნეო წარმოების სწორად დაგეგმვისათვის

შესანიშნავი მიღწევებით შეხვდნენ მზიური საქართველოს კოლმეურნეობანი 1941 წელს. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ენერგიული მუშაობით, კოლმეურნეთა ბეჯითი შრომით, 1940 წელს ...

...ეს ნიშნავს, პირველი: კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმები უნდა შეესაბამებოდეს კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ სახელმწიფო დავალებებს, ხოლო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვები სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებას ...

ციტრუსოვან კულტურათა მავნებლებთან ბრძოლის ახალი მეთოდები

საბჭოთა მეცნიერის შესანიშნავი დისერტაცია

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიაკუთვნა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის ...

XVIII პარტკონფერენციის სახელობის სტალინური კოლონა

სადღეღამისო გეგმის 143,8 პროცენტი

ქუთაისის მგს-ის წარმატება

აჭარის მგს-მა შეასრულა გეგმა

ორდენოსანი კოლმეურნეობის 20 წლისთავი

კოლმეურნეები

დენინგრადელმა უპირველესად მიიღეს ორახოვო-ზუევოს უპირველესი გამოცდა

ყირგიზეთის სს რესპუბლიკის 15 წლისთავის დღესასწაულის წინ

უზრუნველყოფა ძალით საკოლმეურნეო საქმეთაება

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

ომი აფრიკაში

სომხური მოქმედება ალბანეთში

იტალიის ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. შ. შტატების მიერ სსრ კავშირის მიმართ „მორალური ემბარგოს" გაუქმების შესახებ

ვაშინგტონი, 23 იანვარი (საქდესი). როცა გამოქვეყნდა სახელმწიფო მდივნის მოადგილის უელესის წერილი სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. უმანსკისადმი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომ იგი აუქმებს ეგრეთწოდებულ „მორალურ ემბარგოს" საბჭოთა კავშირის მიმართ, იმავე დროს სახელმწიფო დეპარტამენტმა პრესისათვის გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის 1939 წ. 2 დეკემბრის მიმართვა და სახელმწიფო დეპარტამენტის 1939 წ. 15 და 20 დეკემბრის დამატებითი განცხადებანი არ იქნება გამოყენებული საბჭოთა კავშირის მიმართ. აღნიშნულ დოკუმენტებში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ურჩევდა ამერიკელ მრეწველებს აღარ გაეტანათ ზოგიერთ ქვეყანაში თვითმფრინავები, საავიაციო მოწყობილობა, სხვადასხვა მასალა, რაც არსებითს როლს თამაშობს თვითმფრინავების წარმოებაში, მოლიბდენი, ალუმინი, გეგმები, პატენტები და ტექნიკური ინფორმაცია, რაც საჭიროა მაღალხარისხოვანი ბენზინის საწარმოებლად. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ეს განკარგულება გაავრცელა სსრ კავშირთან ვაჭრობაზე.

ჯერ კიდევ 1938 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ იაპონიის მიმართ შემოიღო „მორალური ემბარგო", რაც დღემდე ძალაშია.

იმ მოლაპარაკების შედეგად, რაც ამ უკანასკნელ დროს სწარმოებდა სახელმწიფო დეპარტამენტსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. უმანსკის შორის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადასწყვიტა, გააუქმოს სსრ კავშირის მიმართ ეგრეთწოდებული „მორალური ემბარგო".

სახელმწიფო დეპარტამენტის იმ განცხადების თანახმად, რაც 1941 წლის 22 იანვარს პრესას გადაეცა, შემდეგში ამერიკის შეერთებული შტატებიდან სსრ კავშირში იმ მასალების ექსპორტი, რომლებზედაც ვრცელდებოდა „მორალური ემბარგოს" მოქმედება, იწარმოებს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ლიცენზიების სისტემის საფუძველზე.

იაპონელთა ფირმამ მაცუო დოკიარდმა გადაიხადა თავისი დავალიანება საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობისადმი

ტოკიო, 22 იანვარი (საქდესი). საბჭოთა კავშირის ტოკიოს სავაჭრო წარმომადგენლობისადმი მაცუო დოკიარდის ფირმის დავალიანების საკითხის მოწესრიგების შესახებ საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის 1941 წლის 20 იანვარს დადებული შეთანხმების შესაბამისად, დღეს აღნიშნულმა ფირმამ სავაჭრო წარმომადგენლობას დაუბრუნა ფირმის მიერ 1936 წელს მიღებული ავანსი 1.647.750 იენი და, გარდა ამისა პაუშალური თანხა — 300.000 იენი — უპირობის ჯარიმის გასასტუმრებლად.

რუზველტმა პასუხი გასცა პრეს-კონფერენციაზე დასმულ კითხვებს

ვაშინგტონი, 22 იანვარი (საქდესი). პრესის წარმომადგენლების შეკითხვაზე — შეადგინეს თუ არა ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ უცხოეთის ფონდებზე სეკვესტრის დადების შესახები განკარგულების პროექტი, რუზველტმა უპასუხა: ოფიციალურმა წარმომადგენლებმა მოსალოდნელი საგანგებო ვითარების შემთხვევისათვის შეადგინეს დაახლოებით 50 სხვადასხვა განკარგულების პროექტი. ამ პროექტთა შორის, ალბათ, არის უცხოეთის ფონდებზე სეკვესტრის დადების პროექტიც. ოფიციალური წარმომადგენლები, — სთქვა რუზველტმა, — უკვე დიდი ხანია სწავლობენ სეკვესტრის საკითხს. განკარგულებათა პროექტები, — დაურთო რუზველტმა, — შედგენილია სიფრთხილის წესით.

სხვა კითხვებზე პასუხის გაცემისას, რუზველტმა სიცილი დააყარა იმ ცნობას, ვითომც ამერიკის შეერთებული შტატები განიხილავდნენ საკითხს ინგლისის გემების კონვოირებისათვის თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტის გამოყენების შესახებ ან ვითომ ამერიკის მთავრობა აპირებდეს თავის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გადაცემას ინგლისისათვის. ერთმა მაღალთანამდებობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, რუზველტის აზრით, ინგლისს მიმავალი გემების კონვოირება ამერიკის ხომალდებით დაკავშირებული იქნებოდა შეიარაღებულ კონფლიქტში ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმის რისკთან. მიუხედავად ამისა, სთქვა ამ წარმომადგენელმა, რუზველტი წინააღმდეგია შეიცვალოს კანონპროექტი ინგლისისათვის საიჯაროდ ან სესხად საჭურვლის მიცემის შესახებ იმ მიზნით, რათა ამერიკის სამხედრო ხომალდებს აეკრძალოს ასეთი ხომალდების კონვოირება.

ამავე პრეს-კონფერენციაზე რუზველტმა უარი განაცხადა დაადასტურებინა ლონდონიდან მიღებული ცნობები, ვითომც ვინანტი ამერიკის ელჩად იყოს დანიშნული ინგლისში.

ლეიბორისტების დევნა სახალხო კონვენტში მონაწილეობისათვის

ლონდონი, 22 იანვარი (საქდესი). 20 იანვარს ეტლის, ჰერბერტის, მორისონის, გრინვუდის და დალტონის მონაწილეობით შესდგა ლეიბორისტული პარტიის აღმასკომის სხდომა, რომელზედაც იხილავდნენ სახალხო კონვენტში მონაწილე ლეიბორისტებისათვის „დისციპლინარული სასჯელის დადების" საკითხს.

იმის გამო, რომ აღმასკომმა ვერ შესძლო რაიმე გარკვეული გადაწყვეტილების მიღება, ამ საკითხის განხილვა გადატანილ იქნა მეორე სხდომაზე.

ლენინიზმის კლასიკური ქმნილება

(ამხანაგ სტალინის ნაშრომის „ლენინიზმის საკითხებისათვის" 15 წლისთავი)

თხუთმეტი წლის წინათ — 1926 წლის 25 იანვარს — გამოვიდა ამხანაგ სტალინის გენიალური ნაწარმოები „ლენინიზმის საკითხებისათვის". ამ ნაწარმოებმა, რომელიც გამოქვეყნდა პარტიის XIV ყრილობის ცოტა ხნის შემდეგ, რაც 1925 წლის დეკემბერში სწარმოებდა, თეორიულად დაასაბუთა ამ ყრილობის გადაწყვეტილებანი.

თავის ნაშრომში ამხანაგმა სტალინმა იდეურად გაანადგურა კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ბანდის ლიკვიდატორული „ფილოსოფია", დაასაბუთა პარტიის გენერალური ხაზი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენებისაკენ.

წიგნი „ლენინიზმის საკითხებისათვის" ამხანაგმა სტალინმა უძღვნა საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციას.

წიგნმა „ლენინიზმის საკითხებისათვის" მთელი პარტია და მუშათა კლასი შეაიარაღა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების ურყევი რწმენით. ამხანაგ სტალინის ეს ნაშრომი, რომელიც ჩვენი რევოლუციის განვითარების გარდატეხის მომენტში გამოჩნდა, წარმოადგენდა შესანიშნავ იდეურ მოვლენას პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში.

О

XIV პარტყრილობის პერიოდს, როგორც აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, საერთო ნიშანი აქვს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების პერიოდთან: „ეს საერთო ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ ორივე ეს პერიოდი ასახავს გარდატეხის მომენტს ჩვენი რევოლუციის განვითარებაში" (ი. სტალინი, „ოქტომბრის რევოლუციის შესახებ", გვ. 106, პარტგამომცემლობა, 1932).

ოქტომბრის რევოლუციის მზადების პერიოდში სწყდებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დაგვემარცხებინა კაპიტალიზმი პოლიტიკურად; XIV პარტყრილობის პერიოდში სწყდებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ დაგვემარცხებინა კაპიტალიზმი ეკონომიურად. ამ პერიოდში პარტიის წინაშე დადგა ასეთი საკითხები: „რა მიმართულებით უნდა წარიმართოს სამეურნეო მშენებლობა საბჭოთა კავშირში, სოციალიზმის მიმართულებით, თუ რაიმე სხვა მიმართულებით? უნდა ავაშენოთ თუ არა და შეგვიძლია თუ არა ჩვენ ავაშენოთ სოციალისტური მეურნეობა — თუ ჩვენ ბედად გვიწერია გავაპოხიეროთ ნიადაგი სხვა, კაპიტალისტური მეურნეობისათვის? შესაძლებელია თუ არა საერთოდ სოციალისტური მეურნეობის აშენება სსრ კავშირში, ხოლო თუ შესაძლებელია, შეიძლება თუ არა მისი აშენება კაპიტალიზმის სტაბილიზაციისა და კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლუციის დაგვიანების პირობებში? შესაძლებელია თუ არა სოციალისტური მეურნეობის აშენება ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზებზე, რომელიც, ყოველმხრივ განამტკიცებს და აფართოვებს რა სოციალიზმის ძალებს ჩვენს ქვეყანაში, ამასთან ერთად ჯერჯერობით კაპიტალიზმის ერთგვარ ზრდასაც იძლევა? როგორ უნდა ვაშენოთ სოციალისტური სახალხო მეურნეობა, რა მხრიდან უნდა დავიწყოთ ეს მშენებლობა?" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", გვ. 330).

ყველა ამ საკითხზე მოგვცა პასუხი ამხანაგმა სტალინმა თავის კლასიკურ მოხსენებებსა და სტატიებში: „რკპ (ბ) XIV კონფერენციის მუშაობის შედეგებისათვის", XIV ყრილობაზე გაკეთებულ პოლიტიკურ ანგარიშში, ნაშრომში „ლენინიზმის საკითხებისათვის". სტალინის ეს ნაწარმოები იყო თეორიული დასაბუთება და კონკრეტულ-პრაქტიკული გეგმა კაპიტალიზმზე ეკონომიური გამარჯვებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლისა.

ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხის ღრმა, განუწყვეტელი კავშირი ლენინიზმის, როგორც იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმის, თვით არსთან.

უკვე ლექციებში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ" ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა კლასიკური განსაზღვრა ლენინიზმისა, როგორც იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმისა. საკითხი ლენინიზმის რაობისა და მარქსიზმისადმი მისი დამოკიდებულებისა ამხანაგმა სტალინმა გამოსავალ საკითხად გახადა თავის ნაშრომშიც „ლენინიზმის საკითხებისათვის". ამხანაგმა სტალინმა გენიალური ოსტატობით გვიჩვენა მარქსიზმისა და ლენინიზმის სრული მემკვიდრეობითობა, ლენინიზმში იმ მოძღვრების შემდგომი განვითარება, რომელიც მარქსმა და ენგელსმა შექმნეს. ამით დამტკიცებულ იქნა, რომ მტრების ბრძოლა ლენინიზმის წინააღმდეგ ამავე დროს მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლაც არის.

ანალიზს უკეთებს რა ლენინიზმს, როგორც ახალი ეპოქის მარქსიზმს, ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მთავარი ლენინიზმში, ისევე როგორც მარქსიზმში, არის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

„განა სწორი არ არის, — სწერდა ამხანაგი სტალინი ნაშრომში „ლენინიზმის საკითხებისათვის" — რომ იმპერიალიზმის საკითხი, იმპერიალიზმის განვითარების ნახტომისებური ხასიათის საკითხი, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხი, პროლეტარიატის სახელმწიფოს საკითხი, ამ სახელმწიფოს საბჭოთა ფორმის საკითხი, პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში პარტიის როლის საკითხი, სოციალიზმის მშენებლობის გზების საკითხი, — რომ ყველა ეს საკითხი სწორედ ლენინის მიერ არის დამუშავებული? განა სწორი არ არის, რომ სახელდობრ ეს საკითხები შეადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის იდეის საფუძველს, საძირკველს? („ლენინიზმის საკითხები", მე-11 გამოც., გვ. 138).

О

მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ წითელ ზოლად გასდევს მთელ ნაშრომს „ლენინიზმის საკითხებისათვის". ამ პრობლემას მიძღვნილი აქვს არა მარტო ორი სპეციალური თავი (მეექვსე და მეშვიდე), არამედ მასთან ორგანიულად არის დაკავშირებული წინა თავებიც.

შემდგომ ანვითარებდა რა ლენინის მოძღვრებას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ, ამხანაგი სტალინი გამოდიოდა ლენინის დებულებებიდან იმპერიალიზმის შესახებ, პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, მასში პარტიის როლის შესახებ და ბოლოს გამოდიოდა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის გამოცდილებიდან.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ პროლეტარული რევოლუციის თვით არსიდან გამომდინარეობს, რომ საჭიროა აშენებულ იქნას ახალი ეკონომიკა, სოციალისტური. ბურჟუაზიული რევოლუციისაგან განსხვავებით, რომელიც უკვე ძველი საზოგადოების წიაღში პოულობს კაპიტალისტური წყობილების მზა ფორმებს, პროლეტარული რევოლუცია იწყება მაშინ, როდესაც თითქმის არ არის სოციალისტური წყობილების მზა ფორმები. ამიტომ სოციალისტური რევოლუციის მთავარი ამოცანა ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ არის ახალი, სოციალისტური ეკონომიკის შენება. და თუ ბურჟუაზიულ რევოლუციაში ძალაუფლების დაპყრობა რევოლუციის დამთავრებას ნიშნავს, პროლეტარულ რევოლუციაში ეს მხოლოდ დასაწყისია.

პროლეტარული რევოლუციის არსის სტალინურ ანალიზთან სრული შესაბამისობით პარტია თვლიდა, რომ „მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაშლილ იქნას მთელ ჩვენს ქვეყანაში ახალი, სოციალისტური მეურნეობის მშენებლობა და ამით ბოლო მოეღოს კაპიტალიზმს **ეკონომიურადაც**" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", გვ. 331).

მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა და აუცილებლობა გამომდინარეობდა თვით პროლეტარიატის დიქტატურის არსიდან, რომელიც ბურჟუაზიის დიქტატურისაგან განსხვავდება არა მარტო პოლიტიკური ხელისუფლების კლასობრივი ბუნებით, არამედ თავისი მიზნებითა და ამოცანებითაც.

ამხანაგი სტალინი გვასწავლიდა, რომ მუშათა კლასს შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ხელისუფლება, განამტკიცოს იგი და გახადოს უძლეველი, თუ იგი დასძლევს დამხობილ ექსპლოატატორთა წინააღმდეგობას, მოაწყობს მშენებლობას პროლეტარიატის გარშემო ყველა მშრომელთა შემჭიდროების სულისკვეთებით, შეაიარაღებს რევოლუციას იმპერიალიზმთან საბრძოლველად. ეს ამოცანები რომ წარმატებით გადაგვეჭრა, საჭირო იყო სოციალისტური ეკონომიკის შექმნა, სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების ორგანიზაცია.

პროლეტარული დიქტატურის არსთან სოციალისტური მშენებლობის განუყრელი კავშირი ოსტატურად გამოხატულია ნაწარმოებში „ლენინიზმის საკითხებისათვის".

О

ამხანაგი სტალინი შემდგომ ანვითარებს ლენინურ თეზისს სოციალიზმის თავდაპირველად ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობისა და ყველა ქვეყანაში მისი ერთდროულად გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ. ეს თეზისი გამომდინარეობდა ლენინის მიერ აღმოჩენილი კანონიდან იმპერიალიზმის დროს ქვეყნების არათანაბარი ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების შესახებ. ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ ჩვენ მოგვეპოვება ყველაფერი, რაც საჭიროა, მოგვეპოვება ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენი საკუთარი (საშინაო) ძალებით ავაშენოთ სოციალიზმი, გარედან სახელმწიფო დახმარების გარეშე. ჩვენ შეგვიძლია საკუთარი ძალებით დავძლიოთ წინააღმდეგობანი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, აღმოვფხვრათ კაპიტალიზმი, დავამარცხოთ იგი არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც.

ტროცკისტ-ბუხარინელი გამცემლები, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ სსრ კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაცია, ცდილობდნენ მშრომელებს შორის დაეთესათ სოციალიზმის აშენების შესაძლებლობისადმი რწმენის უქონლობა. ამიტომ პარტიის მტრების განადგურება იყო აუცილებელი, სავალდებულო პირობა სსრ კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისა. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ გაანადგურა ტროცკისტ-ბუხარინელი გამცემლები.

ამხანაგმა სტალინმა დარაზმა პარტია და ჩვენი ქვეყნის მშრომელები წაიყვანა სოციალიზმის აშენებისათვის საბრძოლველად. ამასთან ერთად ამხანაგი სტალინი აფრთხილებდა პარტიას, რომ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება შეუძლებელია რამდენიმე ქვეყნის მუშათა საერთო ძალღონის დაჭიმვის გარეშე.

„რა არის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის სრული, საბოლოო გამარჯვების **შეუძლებლობა** სხვა ქვეყნებში რევოლუციის გაუმარჯვებლად?

ეს არის ინტერვენციისაგან, და, მაშასადამე, ბურჟუაზიული წესების რესტავრაციისაგან სრული გარანტიის შეუძლებლობა, თუ რევოლუცია არ გაიმარჯვებს რამდენიმე ქვეყანაში მაინც. ამ უდავო დებულების უარყოფა არის ინტერნაციონალიზმისაგან ჩამოშორება, ლენინიზმისაგან ჩამოშორება" („ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 177).

სანამ რჩება კაპიტალისტური გარემოცვა, რჩება სსრ კავშირზე თავდასხმის საფრთხეც, ინტერვენციის საფრთხეც. აი რატომ არის, რომ ამხანაგი სტალინი მუდამ მოგვიწოდებს ჩვენი ხალხის **მობილიზაციური მზადყოფნის** ამაღლებისაკენ, სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისაკენ, ყველა ქვეყნის მშრომელებთან ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცებისაკენ.

О

ამხანაგი სტალინი ღრმა და ყოველმხრივ დახასიათებას აძლევს პარტიის როლს პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში. ნაშრომის „ლენინიზმის საკითხებისათვის" ფურცლები, მიძღვნილი ამ საკითხისადმი, გვაძლევენ საზოგადოების კომუნისტურად გარდაქმნის მსოფლიო-ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში პარტიის დიდი როლის ღრმა დახასიათებას. „პარტიის ხელმძღვანელობა, — სწერს ამხანაგი სტალინი, — მთავარია პროლეტარიატის დიქტატურაში", და პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე „შეუძლებელია პროლეტარიატის რამდენადმე ხანგრძლივი და მტკიცე დიქტატურა".

აქვე ამხანაგი სტალინი ახასიათებს პარტიისა და მასების ურთიერთდამოკიდებულებას, პარტიის მიერ მასების ხელმძღვანელობის მეთოდების არსს.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ პარტია არის მშრომელი კლასების ხელმძღვანელი, ბელადი, მასწავლებელი და რომ მისი ავტორიტეტი შენდება პარტიისადმი მასების ნდობაზე, მასების მიერ პარტიისათვის მხარდაჭერაზე. ამხანაგი სტალინი შემდეგ გვასწავლის, რომ ამ ნდობის მოპოვება შეიძლება მასებში განუწყვეტელი მუშაობით და პარტიის უნარით **დაარწმუნოს მასები** თავისი პოლიტიკის სისწორეში, პარტიის უნარით უზრუნველჰყოს თავისთვის მშრომელი მასების მხარდაჭერა.

და ამხანაგ სტალინს გამოჰყავს დასკვნა, რომელიც არასოდეს არ შეიძლება დავივიწყოთ: „დარწმუნების მეთოდი წარმოადგენს პარტიის მიერ კლასის ხელმძღვანელობის ძირითად მეთოდს" (იქვე, გვ. 166).

აცხადებს რა დარწმუნების მეთოდს ხელმძღვანელობის მთავარ მეთოდად, საკ. კ. პ. (ბ) სრულებითაც არ იღებს ხელს იძულებაზე კლასის უმცირესობის მიმართ, როდესაც პარტიის გადაწყვეტილების მომხრეა კლასის უმრავლესობა, ხალხის უმრავლესობა. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ დარწმუნების მეთოდის აღიარება მასების ხელმძღვანელობის ძირითად მეთოდად „არ ნიშნავს, რომ პარტიამ უნდა დაარწმუნოს ყველა მუშა, უკანასკნელ ადამიანამდე, რომ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოქმედებაზე გადასვლა, რომ მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოქმედების დაწყება. სრულიადაც არა".

შემდეგ ამხანაგი სტალინი სწერს:

„მაგრამ როგორ მოვექცეთ უმცირესობას, თუ მას არ სურს, თუ იგი თანახმა არ არის ნებაყოფლობით დაემორჩილოს უმრავლესობის ნებისყოფას? შეუძლია თუ არა პარტიას, ვალდებულია თუ არა პარტია, როდესაც იგი აღჭურვილია უმრავლესობის ნდობით, აიძულოს უმცირესობა დაემორჩილოს უმრავლესობის ნებისყოფას? დიახ, შეუძლია და ვალდებულიც არის. ხელმძღვანელობას უზრუნველჰყოფს მასების დარწმუნების მეთოდი, როგორც მასებზე პარტიის მიერ ზეგავლენის მოხდენის ძირითადი მეთოდი. მაგრამ ეს კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს იძულებას, თუ ეს იძულება ემყარება პარტიის მიმართ მუშათა კლასის უმრავლესობის ნდობას და დახმარებას, თუ მას იყენებენ უმცირესობის მიმართ მას შემდეგ, რაც შესძლეს უმრავლესობის დარწმუნება" (იქვე, გვ. 167).

ეს სტალინური მითითებანი ჩვენი პარტიისათვის კანონად გახდნენ. თანმიმდევრობით ატარებს რა მათ ცხოვრებაში, ლენინ-სტალინის პარტია გამუდმებით აძლიერებს და აფართოებს თავის ხელმძღვანელ როლს სოციალიზმის დიადი ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში.

О

15 წელიწადი გავიდა იმ დროიდან, რაც ამხანაგი სტალინი გამოვიდა თავისი გენიალური წიგნით „ლენინიზმის საკითხებისათვის" — წიგნით სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის კანონების შესახებ. ამ წიგნმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა სოციალიზმის მტრებს, მან დაასაბუთა გზა, რომელიც „მოწონებული და მიღებული იყო, როგორც პარტიის გეზი, როგორც პარტიის კანონი, პარტიის ყველა წევრისათვის **სავალდებულო**" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი", გვ. 333). ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ეს გეზი უკვე განხორციელებულია.

ამხანაგი სტალინი განაგრძობდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ ლენინური მოძღვრების განვითარებასა და გამდიდრებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის ნაშრომებს: „ჩვენს პარტიაში სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ", „ერთხელ კიდევ ჩვენს პარტიაში სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ", პასუხი კომკავშირელ ივანოვის წერილზე.

პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა დებულება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის უმაღლესი ფაზის აშენების შესაძლებლობის შესახებ, მიუხედავად კაპიტალისტური გარემოცვის არსებობისა. ეს ახალი უდიდესი განძია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში.

რამდენადაც კაპიტალისტური გარემოცვა რჩება, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების ამოცანა ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. ამიტომ ყველა იმ გიგანტური მონაპოვარის დროს, რომელიც საბჭოთა ხალხმა სოციალიზმისათვის ბრძოლაში მოიპოვა, ადგილი არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს თვითკმაყოფილებასა და თვითდამშვიდებას. განსაკუთრებით ახლა, როდესაც გიზგიზებს მეორე მსოფლიო იმპერიალისტური ომის ხანძარი, ჩვენ უნდა გვახსოვდეს ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი და სამეურნეო ძლიერების განმტკიცების აუცილებლობა, ჩვენი ინტერნაციონალური ამოცანები, ჩვენ ვალდებული ვართ ყოველმხრივ განვამტკიცოთ სსრ კავშირი — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლო.

ზ. ბაკი

ქ. შეროზია — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

საქართველოს მრეწველობა აღმავლობის გზაზე

ასრულებენ რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მრეწველობისადმი ხელმძღვანელობა და მიაღწიეს ახალ წარმატებებს საწარმოო პროგრამის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებამ ფართო შესაძლებლობანი გადაშალა სამრეწველო პროდუქციის ყოველმხრივი ზრდისათვის. იმ საწარმოებში, სადაც პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველჰყვეს ქმედითი კონტროლი ბრძანებულების შესრულებისადმი, სადაც ისინი სათავეში ჩაუდგნენ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას, სამეურნეო წელი კარგი საწარმოო მაჩვენებლებით დამთავრდა.

გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის საერთო გამოშვების გეგმა საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობამ. აბრეშუმის და შალის ქსოვილები, აგრეთვე სხვა სახის პროდუქცია გამოშვებულია 75 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულებისა — 8 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1939 წელს.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა უკვე 27 დეკემბრისათვის შეასრულეს წლიური პროგრამა, გამოიმუშავეს 250 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია.

გასული წელი აღინიშნა ორდენოსანი საქართველოს ჩაის მრეწველობის შემდგომი განვითარებით. 35 ჩაის ფაბრიკამ გადაამუშავა 51,7 მილიონი კილოგრამი ძირითადი ჩაის ფოთოლი, ანუ თითქმის 7 მილიონი კილოგრამით მეტი 1939 წელთან შედარებით. შენდება და მიმდინარე წელს მომქმედ საწარმოთა რიგებში ჩადგება 4 ახალი ჩაის ფაბრიკა, ჩაის საწონი დიდი ფაბრიკა თბილისში და ჩაის საწნეხი ფაბრიკა ქ. ზუგდიდში.

რესპუბლიკის ნავთის მრეწველობამ მიმდინარე წელს გადამეტებით შეასრულა ბურღვის გეგმა. ბურღვა და ნავთის ამოღება წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მოწინავე საწარმოთა შორის არის აგრეთვე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. ამ ქარხნის პროდუქციაზე დიდ მოთხოვნებს აყენებენ მეტალურგიული, თავდაცვითი, გემთმშენებელი და მრეწველობის სხვა დარგები. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქარხანამ მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი პროდუქციის ასორტიმენტი, აითვისა ფეროშენადნობთა ახალი სახეების წარმოება.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია სწორად ანხორციელებს კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, ახლა იგი უფრო ღრმად სწვდება წარმოების ცხოვრებას. ასე, მაგალითად, პარტორგანიზაციამ დეტალურად შეისწავლა წუნისა და არაკონდიციური პროდუქციის გამოშვების მიზეზები და მოაწყო ბრძოლა ნაკლოვანებათა თავიდან აცილებისათვის. ამის შედეგად უკანასკნელი თვეების მანძილზე ქარხანა მუშაობს უწუნოდ, არაკონდიციური პროდუქციის გამოშვება მკვეთრად შემცირდა.

პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ქარხანაში სწარმოებს დიდი მუშაობა წარმოების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებისათვის. გადასინჯულ იქნა ინსტრუქციები ტექნოლოგიის დარგში, ხოლო შენადნობთა ცალკე სახეების მიხედვით ინსტრუქციები ხელახლა იქნა შემუშავებული. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წამყვანი პროფესიების მუშათა — გამომწველებისა და გამომდნობების სწორ განაწილებას და წარმოებაში ბრიგადირებისა და ოსტატების როლის გადიდებას. ტექნიკური კონტროლის განყოფილება განმტკიცებულია გამოცდილი მუშაკებით. შექმნილია 2 ახალი ლაბორატორია.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში დიდი ადგილი უჭირავს ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობას. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ყურადღებას უთმობენ ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროებისა და ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშაობას.

ტყიბულქვანახშირის ტრესტმა თავისი წლიური გეგმა შეასრულა 1940 წლის 23 დეკემბრისათვის. წლის მეორე ნახევარში მკვეთრად გაუმჯობესდა ქვანახშირის ხარისხი. ტყიბულქვანახშირის მაღაროებში შემცირდა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ტრესტმა გადამეტებით შეასრულა 1940 წლის სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა. ეს შესაძლებლობას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ გაცდენა მოსამზადებელ სამუშაოთა შეფერხების გამო, რაც წლის დასაწყისში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ტყიბულის მაღაროელთა წარმატება აიხსნება იმით, რომ პარტიის რაიკომმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს მაღაროებისადმი ხელმძღვანელობა.

ტყიბულის მაღაროების კომუნისტები მაღაროელთა ნამდვილი წინამძღოლები არიან. ბევრი კომუნისტი ერთიორად და უფრო მეტი გადაჭარბებით ასრულებს თავის საწარმოო დავალებებს. მბურღავმა სტახანოველმა ამხ. ციოკიძემ წლიური გეგმა შეასრულა 208 პროც., ამხ. ცქიფურიძემ — 207 პროც., ამხ. კუზმინმა — 206 პროც. და სხვ. ლენინის და სტალინის სახელობის მაღაროებში არ არის არცერთი კომუნისტი, რომელიც გამომუშავების დაწესებულ ნორმებზე ნაკლებს იძლეოდეს.

მაგრამ ყველა საწარმომ როდი შეასრულა წარმატებით თავისი საწარმოო პროგრამა. ქვანახშირის ამოღების დაწესებულ გეგმას არ ასრულებს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტი, ხოლო პარტიის ოჩამჩირის რაიკომი მას ამ მუშაობაში ნაკლებად ეხმარება. ჩამორჩება ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა.

ტრესტის ხელმძღვანელებს არ შეუძლიათ მოიმიზეზონ მოწყობილობისა და მასალის ნაკლებობა. მასალითა და მოწყობილობით ჭიათურის მარგანეცის ტრესტი მარაგდება გაცილებით უფრო უკეთესად, ვიდრე, მაგალითად, „ტყიბულქვანახშირი". მაგრამ ჭიათურის მარგანეცის ტრესტი არასაკმაოდ ხელმძღვანელობს მაღაროებს, კერძოდ სუსტად ინერგება სამუშაოთა ციკლურობა, სუსტად სწარმოებს მექანიზმებისა და მოწყობილობის გამოყენება.

უკანასკნელ ხანებში საქართველოს პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ რესპუბლიკის ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელის რაიონების მუშაობას. ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელის რაიონების მუშაობა გაუმჯობესდა. მათ შეამცირეს ავარიების რაოდენობა, მოახდინეს მოწყობილობისა და აგრეგატების რემონტისადმი უყურადღებობის ლიკვიდაცია, უფრო ნაკლებ ელექტროენერგიასა და სათბობს ხარჯავენ საკუთარ საწარმოთა საჭიროებათათვის.

„საქენერგოს" სისტემაში ელექტროენერგიის გამომუშავების გეგმა შესრულებულ იქნა მთლიანად 24 ნოემბრისათვის. რესპუბლიკის ერთერთმა უდიდესმა ელექტროსადგურმა — ლენინის სახელობის ზაჰესმა წლიური პროგრამა 11 ნოემბერს შეასრულა. თითქმის მთელი წლის განმავლობაში იგი უავარიოდ მუშაობდა.

ელექტროსადგურის პირველადი პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად იხილავს მუშაობის საკითხებს, თვალს ადევნებს თავის გადაწყვეტილებათა შესრულებას, კომუნისტებში ზრდის პასუხისმგებლობის გრძნობას სადგურის მდგომარეობისათვის. კომუნისტები და კომკავშირელები ნამდვილად მოწინავე ადამიანები არიან წარმოებაში. უშუალოდ წარმოებაში მომუშავე 35 კომუნისტიდან 33 სტახანოველი და დამკვრელია.

ხდება ისეც, რომ პარტიული ორგანიზაცია ხშირად განიხილავს საწარმოს ცხოვრების საკითხებს, გამოაქვს საკმაოდ კარგი გადაწყვეტილებანი, მაგრამ არ ამოწმებს, სრულდება თუ არა ის გადაწყვეტილებანი. ასეთ შემთხვევებში დასახული ღონისძიებანი ქაღალდზე რჩება. როგორც მაგალითი, დავასახელოთ თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის პარტორგანიზაცია. მისი ინიციატივით ფაბრიკაში გულდასმით იქნა შემოწმებული მოწყობილობა, გაცდენისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხიანობის დარღვევის მიზეზები. მან ხელი შეუწყო მოწყობილობას აწყობის, რემონტის ხარისხის გაუმჯობესებისა და ტექნოლოგიური რეჟიმის განხორციელებაზე კონტროლის გაძლიერების ღონისძიებათა დამუშავებას. მაგრამ პარტორგანიზაციამ არ მოაწყო ბევრი ამ ღონისძიებას შესრულების კონტროლი.

წარმოებისადმი არსებითად დაუდევარი დამოკიდებულების მაგალითს წარმოადგენს თბილისის ქარხანა „ცენტროლიტის" პარტორგანიზაცია. ქარხანა ყოველთვიურად ჩამორჩება. ტექნოლოგიური რეჟიმი უხეშად ირღვევა, სხმულის წუნი გაიზარდა. ქარხანაში სათანადო ტექნიკური ხელმძღვანელობის უქონლობამ, აგრეთვე მოწყობილობისა და მექანიზმების რემონტის არადამაკმაყოფილებელმა ორგანიზაციამ გამოიწვია მნიშვნელოვანი გაცდენები და შრომის ნაყოფიერების შემცირება.

პარტორგანიზაცია სუსტად ებრძოდა ქარხნის მიერ გეგმის სისტემატურ შეუსრულებლობას და სხმულის ხარისხის გაუარესებას. პარტბიურომ არ გამოიჩინა სათანადო ინიციატივა და სიმტკიცე ქარხნის მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში.

О

საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის აღსანიშნავად საქართველოს სსრ საწარმოები და ახალმშენებლობანი ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს იღებენ. თბილისის დეპოს მეორთქლმავლეები, ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროელები, „საქნავთის" მუშაკთა კოლექტივი და კვებისა და საფეიქრო მრეწველობის საწარმოები სახავენ პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ნაყოფიერების შემდგომი ზრდის გზებს, რათა მესამე სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის უკვე პირველ თვეებში შეუპოვარი სტახანოვური მუშაობით მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ ახალ საწარმოო გამარჯვებებს.

„პრავდა", 24/I.

მატულობს ფართო სამომხმარებლო საგნების გამოშვება

ბათუმი, (საქდესი). აჭარის სარეწაო კოოპერაციამ შარშან 6.325.000 მან. ღირებულების შეკერილი ტანსაცმელი და ტრიკოტაჟი გამოუშვა. ამ პროდუქციის დიდი რაოდენობა გატანილ იქნა რესპუბლიკის გარეთ. მაშინ როდესაც მისი მოთხოვნილება თვით აჭარაშიც დიდი იყო.

პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 9 იანვრის დადგენილების საპასუხოდ აჭარის სარეწაო კოოპერაცია ახალ სახელოსნოებს ხსნის. დაიწყო არტელ „მკერავის" გაფართოება, რაც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დამთავრდება. „მკერავი" 50 პროც. უფრო მეტ პროდუქციას გამოუშვებს. ქალაქად მოეწყობა ფეხსაცმლის 2 ახალი სახელოსნო.

ბათუმის რაიონში და ქედაში ავეჯეულის საწარმოები გაიხსნება.

გაფართოვდება აგურ-კრამიტის ქარხნები ქობულეთში.

იაკუტსკის პასპორტი

იაკუტსკი. შედგენილია იაკუტიის ასსრ დედაქალაქის — იაკუტსკის პასპორტი. 1632 წელს ეს ქალაქი ენისეის კაზაკებმა გააშენეს ლენის მარჯვენა ნაპირზე, მერმე კი ლენის მარცხენა ნაპირზე გადაიტანეს. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე აქ 8.000-მდე კაცი ცხოვრობდა. 1940 წელს იაკუტსკში უკვე 54.000 მცხოვრები იყო.

ამჟამად იაკუტსკში არის 50 სამრეწველო საწარმო, 16 სკოლა, 15 ტექნიკუმი, 2 ინსტიტუტი, 7 კლუბი, 35 სამედიცინო დაწესებულება, 12 საბავშვო სახლი. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

სკოლის პარტორგანიზაციის პირველი ნაბიჯები

სიღნაღის რაიონში დღემდე არ არსებობდა სასკოლო პარტიული ორგანიზაცია. კომუნისტი მასწავლებლები გაერთიანებული იყვნენ ახლობელ საკოლმეურნეო ან ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც ნაკლებად ხდებოდა სასკოლო ხასიათის საკითხების განხილვა. საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომმა ამ მდგომარეობას სათანადო ყურადღება მიაქცია და 9 სკოლაში მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

1940 წლის 15 ოქტომბერს სიღნაღის საშუალო სკოლასთან მოეწყო პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომლის მდივნად არჩეულ იქნა აქტიური მასწავლებელი ნინო ვარამაშვილი. პარტიულმა ორგანიზაციამ პირველი დღიდანვე თავისი მუშაობა დაუკავშირა სასკოლო ცხოვრებას. პარტიული კრება უკვე 5-ჯერ ჩატარდა. 21 ოქტომბერს პარტიულ კრებაზე მოსმენილ იქნა სკოლის დირექტორის ამხ. გ. გოცირიძის მოხსენება სასწავლო წლის პირველი მეოთხედის წინასწარი შედეგების შესახებ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა საქმიანად ილაპარაკეს არსებულ ნაკლოვანებათა გარშემო და წამოაყენეს წინადადებები სასწავლო წლის მეორე მეოთხედის უკეთესი მაჩვენებლებისათვის. კომუნისტმა მასწავლებელმა გ. პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ სწავლების გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია გამოყენებულ იქნას მოსკოვის სკოლების გამოცდილება, ბავშვებისადმი მასწავლებლის ინდივიდუალური მიდგომის მეთოდი, გაკვეთილის არმცოდნე მოსწავლის გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დატოვება გაკვეთილის მომზადებამდე. პარტიულმა კრებამ ეს საკითხი გადაიტანა სკოლის მასწავლებელთა თათბირზე. ამ ღონისძიების გატარებამ ხელი შეუწყო სწავლის გაუმჯობესებას: მეორე მეოთხედში ადგილი აღარა აქვს მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების სუსტად მომზადებას.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია იხილავს სკოლის კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის საკითხებს. 6 დეკემბერს პარტიულ კრებაზე მოისმინეს ორი მოწინავე და ორი ჩამორჩენილი კლასის ხელმძღვანელთა მოხსენებები. გამოირკვა, რომ მე-6 და მე-7 კლასების ხელმძღვანელები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მათი კლასები ჩამორჩნენ სასწავლო გეგმის შესრულებაში. პარტიულმა კრებამ სთხოვა სკოლის დირექციას ამ ხელმძღვანელთა შეცვლა; დირექციამ ისინი შესცვალა გამოცდილი პედაგოგებით.

პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით სკოლაში მოეწყო რადიოსაქმის შემსწავლელი წრე, რომელშიც ჩაება 14 მასწავლებელი. გაუმჯობესდა ანტირელიგიური მუშაობაც.

სკოლის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი არსებობის მოკლე დროის მანძილზე მიღებული გამოცდილება უფრო უნდა განამტკიცოს და მიაღწიოს იმას, რომ ყოველმხრივ სათავეში ედგეს სკოლაში აკადემიური წარმატებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლას.

მ. სააკოვი

საქ. კ. პ. (ბ) რაიკომების პლენუმები

ტყიბული

ტყიბული („კომუნისტის" კორ.). ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის VI პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა 2 საკითხი: 1. რაიონში სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის შესახებ, 2. პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის ანგარიში მეხუთედან მეექვსე პლენუმამდე.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგე ამხ. მ. დახუნდარიძე. ამხ. დახუნდარიძის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ირ. გორგიძემ, მ. თვალჭრელიძემ, ტ. ავალიანმა, მ. დოლონაძემ, გ. ჰუმბურიძემ, ე. ბუბაშვილმა, ა. ჩიხრაძემ და ჰარბაძემ.

მოხსენებიდან და კამათიდან გამოირკვა, რომ რაიონში გაუმჯობესდა სამხედრო-თავდაცვითი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება. გასულ წელს სტალინის სახელობის მაღაროს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ 7-ჯერ განიხილა პარტიულ კრებაზე მაღაროში თავდაცვითი მუშაობის საკითხი და სათანადო პრაქტიკული დახმარება გაუწია. ამ მაღაროში 115 კომუნისტიდან 109 კაცი თავდაცვა-ავიაქიმის წევრია, ხოლო 112 კომუნისტი წითელი ჯვრის პირველადს ორგანიზაციაში მუშაობს. სამხედრო-თავდაცვითს მუშაობას კარგად ხელმძღვანელობენ აგრეთვე ტყიბულის რაიონის საავადმყოფოს, ორპირის ჩაის ფაბრიკის, ლელვას კოლმეურნეობის და სხვა პირველადი პარტორგანიზაციები.

1940 წელს რაიონში ჩამოყალიბდა თავდაცვა-ავიაქიმის 28 ახალი პირველადი ორგანიზაცია. თავდაცვა-ავიაქიმის წევრად მიღებულია 1.999 კაცი, საჰაერო-ქიმიური თავდაცვის პირველი საფეხურის ნიშნოსნების მომზადების გეგმა შესრულებულია 101,6 პროცენტით. ვოროშილოვისებურ მსროლელად ნაცვლად 150 კაცისა მომზადებულია 263 კაცი.

მაგრამ, მიუხედავად ამ მიღწევებისა პლენუმზე აღინიშნა, მთელი რიგი ნაკლოვანებებიც. რაიონში არსებული 54 კოლმეურნეობიდან თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაცია 27 კოლმეურნეობასთან ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციები სოფელ გურნაში, სოფელ წყნორისა და ტყიბულის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში არ აწარმოებენ ახალ წევრთა მიღებას.

მეორე საკითხის ირგვლივ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ბრეგვაძე. სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: ლ. კეთილაძე, ლ. იდაძე, შ. ობოლაძე და ა. ბაქრაძე.

ორივე საკითხზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. შ. პანუყვაძე.

პლენუმმა ორივე საკითხის ირგვლივ მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

დ. საბელაშვილი

ზნაური

ზნაური, („კომუნისტის" კორ.) ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა პირველ საკითხად მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის მდივნის ამხ. ლ. კაჯაევის საანგარიშო მოხსენება რაიკომის მუშაობის შესახებ. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 7 კაცმა.

განხილულ იქნა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა ამხ. კაჯაევი გაათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან მისი სასწავლებელში წასვლის გამო.

საქ. კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად არჩეულ იქნა ამხ. რ. ლაზარაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა.

ვ. ტყემალაძე

ჩხარი

ჩხარი („კომუნისტის" კორ.). შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის VII პლენუმი. პლენუმმა განიხილა საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის მდივნის ამხ. დ. კაპანაძის საანგარიშო მოხსენება რაიკომის მუშაობის შესახებ. ამხ. კაპანაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 ამხანაგმა. პლენუმმა დასახა ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

პლენუმმა აგრეთვე განიხილა საორგანიზაციო საკითხები. საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. დ. კაპანაძე განთავისუფლდა რაიკომის მდივნობიდან სასწავლებელში მივლინების გამო. საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად არჩეულ იქნა ამხ. პ. ბაქრაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წარმომადგენელი ამხ. ნ. ბაიდაშვილი.

ხ. მუმლაძე

ახალი ოპერა „სამშობლო"

ჩემი ოპერა

შესაძლოა ბევრმა არც კი იცის, რომ კარგი ლიბრეტოს შოვნა უფრო ადვილი არ არის, ვიდრე კარგი მუსიკის დაწერა. ჯერ კიდევ 1936 წელს დამიდო ხელშეკრულება სსრკ დიდმა თეატრმა ოპერის დაწერაზე. ლიბრეტო თეატრს უნდა მოეცა. ორი წლის ლოდინის შემდეგ გამოირკვა, რომ თეატრმა ხეირიანი ლიბრეტო ვერ იშოვნა.

რამდენიმე წლის წინათ ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ მირჩია დამეწერა ოპერა თანამედროვე თემაზე. ეს ძნელი საქმეა, მაგრამ თანამედროვე თემაზე ოპერის დაწერა ჩემს დიდი ხნის ოცნებასაც წარმოადგენდა და ამხანაგ ლავრენტის რჩევამ წამახალისა ამ დიდი საქმისათვის. ლიბრეტოს შექმნისათვის ბევრი იზრუნა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს ამხ. ა. ვასაძე დასთანხმდა, მისი ლიბრეტო მოიწონეს და მის მიხედვით დავწერე ოპერა „სამშობლო".

ეს ოპერა მოფიქრებული მაქვს გმირულ პლანში. ვცდილობდი დადებითი გმირები გელა და თამაზი მომეცა ამაღლებულ, გმირულ-დრამატიულ ტონებში, მეჩვენებინა მათი უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, მათი ბრძოლა ხალხის ინტერესებისათვის. სამშობლოს დამცველის თამაზის სახე ოპერაში გააზრებული მაქვს ვაჟკაცურ ინტონაციებში, მელოდიურად ნათელ შეხამებებში. მაგრამ ყველაფერი ეს შეუძლებელია ღრმა ლირიზმის გარეშე, სადაც სიყვარულის დიდი გრძნობა, იქ ღრმა განცდები მუდამ შეხამებულია ჯანსაღ ლირიკასთან. ვფიქრობ, რომ ვაჟკაცური ინტონაციების შეხამება თბილ ლირიკასთან მაყურებელში შექმნის თამაზის სახის მთლიან შთაბეჭდილებას.

გელას სახის შექმნისას ვცდილობდი მომეცა მამა, რომელიც ბედნიერებისაგან აღფრთოვანებულია, როცა დაკარგული შვილი იპოვა და შემდეგ მამა, რომელიც უბედურია, როცა შვილის მოღალატეობა გაიგო. აი რატომ არის გელას ინტონაციებში ტკბილგეროვანი და ტრაგიკული ნოტები და ბოლოს მოწოდების ინტონაციები, რაც გვიჩვენებს მის ერთგულებას ხალხისადმი.

ცაცინათელას სახე წარმოდგენილი მაქვს განსაკუთრებით თბილ ტონებში. მან შეიყვარა თამაზი გმირობისათვის, თავდადებისათვის, რაც ვაჟმა გამოავლინა თვით ცაცინათელას თვალწინ.

ლევანი წარმოდგენილი მყავს ძლიერ და არა უნებისყოფო მტრად.

მთავარი მომქმედი პირი ჩემს ოპერაში ხალხია. ყველა დიდი ამბები ხალხის მონაწილეობით ხდება. მომქმედ პირთა უბედურებასა და ბედნიერებას ყველა იზიარებს, „სამშობლოში" ხალხი ებრძვის მტერს. უდავოა, რომ მთელი ოპერის მუსიკალური ენა ხალხურობის პრინციპიდან უნდა გამომდინარეობდეს. მაგრამ ხალხურობა მე არ მაქვს გაგებული როგორც შემომქმედის შეზღუდველი ძალა. ხალხურობა ჩემის აზრით ხიზნავს იმას, რომ ხალხური საფუძვლები ავიყვანოთ საერთო-საკაცობრიო დონემდე. ამ პრინციპით ვსარგებლობდი „სამშობლოს" დაწერისას.

კომპოზიტორი **ი. ტუსკია.**

ოპერა „სამშობლო" — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის ახალი დადგმა. სურათზე: პირველი მოქმედება.

„სამშობლო"
(ოპერის მოკლე შინაარსი)

ი. ტუსკიას ოპერა „სამშობლო" დაწერილია თანამედროვე თემაზე. ოპერა აგვიწერს ჩვენი ხალხის ბედნიერ ცხოვრებას, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებას. ლიბრეტოს მოკლე შინაარსი ასეთია:

I აქტი. მოქმედება სწარმოებს შავი ზღვის პირად მდებარე კოლმეურნეობაში. სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლმეურნეობამ გაიმარჯვა და დღეს დანიშნულია გარდამავალი დროშის ჩაბარება. ზეიმზე მოელიან საზღვრის მცველთა საშეფო ნაწილს. ამ ნაწილში მსახურობს თამაზი, რომელსაც უყვარს მოწინავე კოლმეურნის გელას ქალიშვილი ცაცინათელა. ქალიშვილი გულის ფანცქალით მოელის სატრფოს მოსვლას. დღეს უნდა გადასწყდეს მათი ბედი, უნდა განუცხადონ მამას სიყვარულის ამბავი.

ამ დროს ისმის მუსიკის ხმა. წითელარმიელები მოვიდნენ. კოლმეურნენი მხურვალე შეხვედრას უწყობენ. გელა სტუმრებს მიიწვევს სუფრაზე. ყველანი გადიან. სცენაზე რჩებიან თამაზი და ცაცინათელა, რომლებიც მღერიან სატრფიალო დუეტს. შემოდის გელა. ახალგაზრდები გამოუტყდებიან გელას. მოხუცი კოლმეურნეს მოსწონს სასიძო და თანხმობას აძლევს.

საუზმის შემდეგ კვლავ შემოდიან წითელარმიელები და კოლმეურნენი. ზეიმის მოლოდინში იმართება ცეკვა-თამაში. ბოლოს გამოჩნდებიან რაიონული ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც კოლმეურნეობას გადასცემენ გარდამავალ დროშას. იწყება საერთო ზეიმი. კოლმეურნენი ასრულებენ სიმღერას სტალინზე.

II აქტი. საზღვარია. თამაზი საგუშაგოზე დგას და უმღერის საყვარელ სამშობლოს. ახლობელ სოფლიდან ისმის კოლმეურნეთა სიმღერა. ოცნება იტაცებს შეყვარებულ თამაზს. ამ დროს გამოჩნდებიან საზღვრის დამრღვევნი. თამაზი შეამჩნევს მათ და გაიქცევა მესაზღვრეების მოსაყვანად.

საზღვრის დამრღვევნი ემზადებიან სოფელში შესასვლელად. დამრღვევთა შორის არის კოლმეურნე გელას შვილი ლევანი, რომელიც დიდი ხნის წინათ უგზოუკვლოდ დაიკარგა. ლევანი სამშობლოს დედინაცვალს უწოდებს. ამ დროს შემოვლენ წითელარმიელები და კოლმეურნენი. ატყდება სროლა. საზღვრის დამრღვევთ დაიჭერენ, გაიპარება მხოლოდ ლევანი. თამაზი მკერდში დაიჭრა, გელა—თავში.

III აქტი. გელას სახლში იმავე საღამოს კოლმეურნე გოგონები ცაცინათელას ამზადებენ საქორწინოდ. ცაცინათელა უამბობს მეგობრებს როგორ შეხვდა პირველად თამაზს. შემოდის გელა, რომელიც ჭრილობას ფარავს და თამაზის შესახებაც არაფერს ამბობს. ქალიშვილები დაიშლებიან. ცაცინათელაც მიდის თავის ოთახში.

უცბად შემოდის ლევანი. გელა სიხარულით მოეხვევა დაკარგულ შვილს, უნდა დაუძახოს მეზობლებს, ქალიშვილს, რომ თავისი ბედნიერება ყველას გაუზიაროს. ლევანი არ უშვებს, რაღაც უცნაურად იქცევა. გელა მალე დარწმუნდება, რომ ლევანი ხალხის მტერია და საზღვარზე გადმოიპარა. მამა უარჰყოფს შვილს. ლევანი ემუქრება მამას—დამალე, თორემ მოგკლავო. ამ დროს შემოდიან მესაზღვრეები და კოლმეურნენი, რომლებიც ლევანის კვალს მოჰყვებოდნენ. საზღვრის დამრღვევს დააპატიმრებენ. ცაცინათელა გაიგებს თამაზის დაჭრის ამბავს და დაიტირებს სატრფოს.

IV აქტი. თამაზი განიკურნა ჭრილობისაგან. დღეს მისი და ცაცინათელას ქორწილია. კოლმეურნენი და წითელარმიელები ზეიმით აღნიშნავენ ახალგაზრდა შეყვარებულთა გაბედნიერებას. ოპერა თავდება ცეკვებითა და სიმღერებით ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შესახებ. ყველა უმღერის საყვარელ სამშობლოსა და დიდ სტალინს.

ოპერის ლიბრეტო ეკუთვნის სსრკ სახალხო არტისტს აკ. ვასაძეს, დადგმა—რესპუბლიკის სახალხო არტისტს ალ. წუწუნავას, მხატვრული გაფორმება—პროფ. ვ. სიდამონ-ერისთავს, დირიჟორობს შ. აზმაიფარაშვილი, ცეკვები დადგმულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. ჯავრიშვილის მიერ.

პირველ დღეს მთავარ როლებს ასრულებენ: დ. გამრეკელი — თამაზ, ე. გოსტენინა — ცაცინათელა, ნ. ბელაკნელი — გელა, ვ. ხამაშურიძე — ლევანი, თ. ციბაძე — სანდო, ნ. გოლუბევა — მზია, პ. ჩახუნაშვილი — ლეიტენანტი, დ. ცაგურია — ნოდარი. მეორე დღეს თამაზის როლს შეასრულებს გ. ვენაძე.

ოპერა თანამედროვე თემაზე

თანამედროვეობის მხატვრული ასახვა ოპერაში რთული და ძნელი საქმეა. ამ ხაზით დღევანდლამდე ჩვენ გვქონდა მხოლოდ რამდენიმე ცდა. მაყურებელი მოითხოვს ღრმა შინაარსისა და დაძაბული დრამატიული კვანძების მქონე ოპერას, რომლის მუსიკა სრულქმნილად უნდა ასახავდეს ჩვენი ხალხის განცდებს. ისტორიულ სიუჟეტზე მუშაობა გაცილებით უფრო ადვილია. თუ კი დამაჯერებლად გააკეთებს ავტორი, ფაქტებზე არავინ შედავება. თანამედროვეობის დამახასიათებელ სახეებსა და ხასიათებს კი ხშირად მაყურებელი უფრო კარგად იცნობს, ვიდრე ავტორი.

ყველა ეს სიძნელე იდგა კომპოზიტორ ი. ტუსკიას და მისი ოპერის „სამშობლოს" დამდგმელი კოლექტივის წინაშე. ჩვენ ვეცადეთ შესაფერი მიზანსცენების საშუალებით ნათლად, დამაჯერებლად გამოგვეხატა ხასიათები და მდგომარეობები, რომლებიც მოცემულია ოპერაში. რამდენად მივაღწიეთ მიზანს, ამას მაყურებელი შეაფასებს.

ი. ტუსკიას ოპერა „სამშობლოთი" ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებას მიემატა ერთი ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც თვალსაჩინო ეტაპია თანამედროვე ოპერის შექმნისათვის ბრძოლის გზაზე. ჩვენმა კომპოზიტორებმა და უპირველეს ყოვლისა თვით ი. ტუსკიამ გაბედულად უნდა განაგრძონ ეს ძნელი გზა, რომ მომავალ წლებშიც მივიღოთ ახალი ოპერები თანამედროვე თემატიკაზე.

ალ. წუწუნავა

დამდგმელი-რეჟისორი.

კომუნიზმისათვის თავგანწირული მებრძოლი
(ვ. ვ. კუიბიშევის გარდაცვალების 6 წლისთავის გამო)

ექვსი წლის წინათ ჩვენმა პარტიამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 1935 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე, მუშათა კლასის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის დაუღალავი მებრძოლი, ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევი, გარდაიცვალა მაშინ, როდესაც მისი შემოქმედებითი ძალები გაფურჩქნული იყო.

ვ. ვ. კუიბიშევი დაიღუპა მემარჯვენე-ტროცკისტული ანტისაბჭოთა ბლოკის მუხანათთა ხელით, რომლებიც მავნებელ-ექიმების დახმარებით ხანგრძლივი დროის მანძილზე უწამლავდნენ მას სისხლს, უწამლავდნენ გულს.

მთელი თავისი სიცოცხლე ამხ. კუიბიშევმა მუშათა კლასის საქმეს შესწირა. თექვსმეტი წლის ჭაბუკი, 1904 წელს იგი შედის რსდმპ ომსკის ორგანიზაციაში და მაშინვე ემხრობა ბოლშევიკებს. იგი ხელმძღვანელობს არალეგალურ წრეებს, ეწევა აქტიურ სააგიტაციო მუშაობას მუშებში, ჯარისკაცებსა და მოსწავლეებში.

1905 წლის შემოდგომაზე ვ. ვ. კუიბიშევი პეტერბურგშია — აბობოქრებული რევოლუციის ცენტრში, სადაც იგი აქტიურ ბოლშევიკურ მუშაობას ეწევა. ვ. ვ. კუიბიშევი ამ პასუხსაგებ მომენტში ასრულებს პარტიის ყველაზე მნიშვნელოვან დავალებებს, ეზიდება იარაღსა და საბრძოლო საჭურველს მოსკოვის მუშათა მებრძოლი რაზმებისათვის, რომლებიც მაშინ დეკემბრის შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდნენ.

რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ დამდგარი მძიმე რეაქციის პერიოდში, მათრახისა და საღრჩობელის თარეშის პერიოდში, იმპერიალისტური ომის წლებში, ვ. ვ. კუიბიშევი — ყოველთვის და ყველგან — იყო თანმიმდევარი ლენინელი, თვითმპყრობელობის შეურიგებელი მტერი. მეფის ხელისუფალნი სასტიკად სდევნიდნენ მას. 1906-1916 წლებში ვ. ვ. კუიბიშევი რვაჯერ დააპატიმრეს, ოთხჯერ გადაასახლეს ციმბირის ყველაზე შორეულ ადგილებში. იგი არაერთხელ გამოიქცა გადასახლებიდან და ემალებოდა მეფის ოხრანკის აგენტებს, რომლებიც მას დასდევდნენ.

გადასახლებაში ვ. ვ. კუიბიშევი აგრეთვე დაუღალავად ეწევა რევოლუციურ მუშაობას. იგი რაზმავს ბოლშევიკებს, ებრძვის მენშევიკებსა და ესერებს, აწყობს პოლიტიკურ სწავლას გადასახლებულთა შორის, ამყარებს კავშირს ადგილობრივ მოსახლეობასთან. მართავს კრებებსა და დემონსტრაციებს, აწყობს გადასახლებულთა გაქცევას.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ვ. ვ. კუიბიშევს მოუსწრო მაშინ, როდესაც იგი იგზავნებოდა მორიგ გადასახლებაში, მივარდნილ ტურუხანის მხარეში.

ვ. ვ. კუიბიშევი ბრუნდება სამარაში, რომელთანაც მას აკავშირებდა უკანასკნელი პერიოდის რევოლუციური მოღვაწეობა, სადაც მას მოუთმენლად მიელოდნენ მუშები. თავისი მჩქეფარე ბუნების მთელი მგზნებარებით ჩაება ამხ. კუიბიშევი მუშაობაში. იგი ხელმძღვანელობს ბოლშევიკურ ორგანიზაციას, თავს უყრის და რაზმავს მუშებს, ამზადებს მათ ბურჟუაზიის დამხობისათვის, საბჭოების ძალაუფლებისათვის საბრძოლველად. სამარა ერთერთი პირველი მიემხრო რევოლუციურ პეტროგრადს. 1917 წლის 8 ნოემბერს სამარაში უკვე საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამხ. კუიბიშევი არჩეულ იქნა რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ საბჭოების საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედაც.

განსაკუთრებით დიდია ვ. ვ. კუიბიშევის როლი 1918 წელს ვოლგის მხარეში ჩეხოსლოვაკთა იმ ამბოხების ლიკვიდაციაში, რომელზეც იმპერიალისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ.

სამოქალაქო ომის ყველა წლები ვ. ვ. კუიბიშევმა ფრონტებზე გაატარა როგორც წითელი არმიის ერთერთმა ყველაზე გამოჩენილ პოლიტიკურ ხელმძღვანელთაგანმა. ამხ. ფრუნზესთან ერთად ვ. ვ. კუიბიშევი აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთისა და თურქესტანის ფრონტებზე კოლჩაკელებისა და ინტერვენტების განადგურებაში. მის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია შუა აზიის ხალხების განთავისუფლება თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტებისაგან. ვ. ვ. კუიბიშევი არ ზოგავდა თავის სიცოცხლეს, უკან არ იხევდა სიძნელეების წინაშე და ყოველთვის ყველაზე წინა და საშიშ ადგილებზე იყო. საბრძოლო შეტაკებათა კრიტიკულ მომენტებში იგი ხშირად პირველ წყებაში მიდიოდა და თავისი მაგალითით აღაფრთოვანებდა რიგით მებრძოლებს.

სამოქალაქო ომი დამთავრდა. პარტია ვ. ვ. კუიბიშევს გზავნის პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ყველაზე პასუხსაგებ უბანზე. 1921 წლიდან იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შედის, 1927 წლის დეკემბრიდან იგი პოლიტბიუროს წევრია.

ვ. ვ. კუიბიშევი ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის უდიდესი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო. როგორც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და „გლაველექტროს" უფროსი, ვ. ვ. კუიბიშევი ახორციელებს საბჭოთა ქვეყნის ელექტროფიკაციის გენიალურ ლენინურ გეგმას (გოელრო"). მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო ვოლხოვშენის, შატურის, კიზელისა და კაშირის ელექტროსადგურების — საბჭოთა სახელმწიფოს მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ამ პირმშოთა მშენებლობა.

როდესაც პარტიის XII ყრილობის გადაწყვეტილებით შეიქმნა ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხინი, მის სათავეში დაყენებულ იქნა ვ. ვ. კუიბიშევი, რომელსაც როგორც პარტია, ისე ხალხი იცნობდნენ როგორც კრისტალურად პატიოსან ბოლშევიკს, ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგულს, სოციალიზმის ყველა მტრების წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლს. იცავდა რა პარტიული რიგების მთლიანობას, იგი ულმობლად ანადგურებდა „მუშათა ოპოზიციას", ტროცკისტებს, მემარჯვენე გადაგვარებულებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებსა და ხალხის სხვა მტრებს; იგი ააშკარავებდა მათი „თეორიებისა" და ლოზუნგების კონტრრევოლუციურ დედაარსს, ამხელდა მათს გამცემლურ მანევრებსა და მუხანათურ განზრახვებს, აღკვეთავდა მათს დანაშაულებრივ მოქმედებას.

ამხ. კუიბიშევი დაუღალავად სპობდა ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას საბჭოთა დაწესებულებებში, იბრძოდა მკაფიოდ მომქმედი სახელმწიფო აპარატის შექმნისათვის.

1926 წელს სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა ფელიქს ძერჟინსკი, საბჭოთა მრეწველობის მებრძოლი ხელმძღვანელი. პარტიამ მისი ღირსეულ მემკვიდრედ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ამხ. კუიბიშევი წამოაყენა.

ამხანაგ სტალინის მითითებებით იგი ხელმძღვანელობს პირველი ხუთწლედის გეგმის — ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის დიად სამუშაოთა გეგმის შედგენას.

ამხ. კუიბიშევი მთელ თავის ძალღონეს, მთელ თავის ცოდნას ახმარს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სტალინური გეგმის განხორციელების საქმეს, უშუალოდ მონაწილეობს მრეწველობის ძირითად, წამყვან საწარმოთა პროექტების შედგენაში. ვალერიან ვლადიმერის-ძე თვითონ არჩევს ადგილებს ახალ მშენებლობათათვის, საძირკველს უყრის მაგნიტოგორსკს, კუზნეცკმშენს, დნეპრომშენს, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანას, გორკის ავტოქარხანას და ჩვენი ქვეყნის სხვა ინდუსტრიულ გიგანტებს.

შემდგომ წლებში, მუშაობს რა სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, ვ. ვ. კუიბიშევი აქტიურ მონაწილეობას იღებს მეორე სტალინური ხუთწლედის გეგმის შემუშავებაში.

ვ. ვ. კუიბიშევი დაუღალავად ზრუნავდა სოციალიზმის ქვეყნის სამეურნეო ძლიერების განმტკიცებისათვის, მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, იგი მხურვალედ მოუწოდებდა მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობას დაეუფლებოდა მეცნიერებასა და ტექნიკას, შეესწავლა თავისი ქვეყანა, რათა მისი ურიცხვი სიმდიდრენი დაეყენებინა ხალხის სამსახურში, სოციალიზმის მშენებლობის სამსახურში.

„რაც უფრო შორს წავლენ მეცნიერება და ტექნიკა, — ამბობდა ვ. ვ. კუიბიშევი მეცნიერებისა და სოციალისტური მშენებლობის ტექნიკის მუშაკთა საკავშირო ასოციაციის მოსკოვის საოლქო კონფერენციაზე, — რაც უფრო დიდ მწვერვალებს დაიპყრობენ ისინი, მით უფრო მეტს მისცემენ კაცობრიობას, მით უფრო გაამდიდრებენ სოციალიზმის მშენებელ ხალხს მეტი რაოდენობის საგნებით, ნაწარმითა და საქონლით, რომლებიც ძირფესვიანად შესცვლიან ადამიანის ცხოვრებას... მეცნიერება ვერ შესძლებს ამ მწვერვალების დაპყრობას, თუ მან არ შეითვისა გამოცდილება პროლეტართა მილიონიანი მასებისა, რომლებიც ჰქმნიან სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში".

ვალერიან ვლადიმერის-ძე ულმობლად ააშკარავებდა და მკაცრად ამათრახებდა უძრაობასა და რუტინას, დახავსებასა და მაჩანჩალობას, თავგასულობასა და თვითდამშვიდებას. იგი ნამდვილი რევოლუციონერი იყო მუშაობაში, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ახლისადმი შიში, დრომოჭმულის, ძველის წინაშე ქედის მოხრა დაბრკოლებაა კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის გზაზე. ერთხელ არტეკელ პიონერთა შეკითხვაზე: „რის კეთება გიყვართ თქვენ?" — ვალერიან ვლადიმერის-ძემ უპასუხა: „ყველაფრის კეთება მიყვარს, ყოველი სამუშაო მიყვარსო". და მართლაც, ეს იყო ერთერთი ხელმძღვანელი პრინციპი მის შესანიშნავ ცხოვრებაში. ყოველ საქმეს, რომელსაც მას პარტია და მთავრობა ანდობდნენ, იგი ასრულებდა ბოლშევიკური სიმტკიცით, ახმარდა მას მთელ თავის ნიჭს, უნარს, თავისი მაგალითით აღაფრთოვანებდა მასთან მომუშავეთ.

საბჭოთა ხალხის მეხსიერებიდან არასოდეს არ წარიშლება ჩელუსკინელთა ეპოპეა. უმნიშვნელოვანესი როლი ჩელუსკინელთა გადარჩენის ორგანიზაციაში ამხ. კუიბიშევს ეკუთვნის. 1934 წლის თებერვალში ყინულმჭრელ „ჩელუსკინის" დაღუპვის შემდეგ 103 კაცი დარჩა ყინულზე, პოლარული ღამის წყვდიადსა და ყინვაში, მიწიდან შორს. ამხანაგმა სტალინმა წამოაყენა წინადადება შექმნილიყო მთავრობის კომისია ჩელუსკინელთა გადასარჩენად. ამ კომისიის ხელმძღვანელობა ვ. ვ. კუიბიშევს დაევალა. მიუხედავად ბევრი უცხოელი გამოჩენილი მეცნიერის და პოლარულის აზრისა, რომ ეს საქმე უიმედო იყო, მან ბრწყინვალედ შეასრულა დაკისრებული ამოცანა და ჩელუსკინელები გადარჩენილ იქნენ, რამაც მთელი მსოფლიოს გაოცება გამოიწვია.

გულისხმიერი, თანამგრძნობელი ადამიანი, ამხანაგი — კუიბიშევი ულმობელი, მტკიცე და შეუდრეკელი იყო პარტიის ყველა მტრების, ხალხის მტრების მიმართ.

მთელი თავისი სახელოვანი ცხოვრების მანძილზე ვ. ვ. კუიბიშევი თავგანწირულად იბრძოდა ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის, პარტიის ლენინურ-სტალინური გენერალური ხაზისათვის, ბოლშევიკური რიგების მონოლიტობისათვის.

„პარტიის ერთიანობა, — ამბობდა იგი 1930 წ. დეკემბერში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე — ერთიანობა გენერალური ხაზის გარშემო, ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის მაღალი ტემპებისათვის, გაფთრებული ბრძოლა კლასობრივ მტერთან და ყოველგვარ, თუნდაც ფარულ და შენიღბულ მის ცდებთან შემოგვეპაროს, თავს მოგვახვიოს თავისი იდეოლოგია — ამისათვის ვიბრძოლებთ ჩვენ".

ვ. ვ. კუიბიშევი მუდამ მოგვაგონებდა რევოლუციურ სიფხიზლის ყოველნაირად გაძლიერების საჭიროებას. თავის უკანასკნელ სიტყვაში 1935 წლის 7 იანვარს საბჭოების მოსკოვის III საოლქო ყრილობის დელეგატების წინაშე იგი ამბობდა:

„ჩვენი ხელმძღვანელი პრინციპი შემდეგშიც უნდა იყოს კლასობრივი სიფხიზლის გაძლიერება, კიდევ უფრო მეტად დარაზმვა პარტიის გარშემო, ამხანაგ სტალინის გარშემო".

ამხანაგი კუიბიშევი პარტიისადმი, სოციალიზმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული პროლეტარული რევოლუციონერის ნიმუში იყო.

ხალხის საზიზღარმა მტრებმა — ტროცკისტ-ბუხარინელმა გაბოროტებულმა არამზადებმა, საშინლად სძულდათ მტკიცე ბოლშევიკი და მუხანათურად მოჰკლეს იგი.

საბჭოთა ხალხი უდიდესი პატივისცემით იხსენიებს ვ. ვ. კუიბიშევს, რომელმაც მთელი თავისი მგზნებარე ენერგია, თავისი გონების მთელი ძალა, მთელი სიცოცხლე შესწირა ლენინ-სტალინის პარტიას, ხალხს, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას.

ნ. ელიზაროვი

ინგლისისათვის საჭურვლის იჯარით ან სესხად გადაცემის შესახებ კანონპროექტის განხილვა ა. შ. შტატების წარმომადგენელთა პალატაში

ნიუ-იორკი, 23 იანვარი (საქ-დესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება: მოწყობილმა საცდელმა გამოკითხვამ ცხადჰყო, რომ წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრების უმრავლესობა იწონებს ინგლისისათვის იჯარით ან სესხად საჭურვლის გადაცემის კანონპროექტს. კომისიის 25 წევრიდან 15 წევრმა მხარი დაუჭირა კანონპროექტის მიღებას, 9 კაცი მის წინააღმდეგ წავიდა და კომისიის ერთმა წევრმა პასუხისაგან თავი შეიკავა.

საცდელმა გამოკითხვამ ცხადჰყო აგრეთვე, რომ სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრების უმრავლესობა იწონებს რუზველტის კანონპროექტს.

22 იანვარს წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ მოისმინა ამერიკის შეერთებული შტატების სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელის ტომასის გამოსვლა. ტომასმა განაცხადა, ახალი კანონპროექტი ამერიკის შეერთებულ შტატებს ომში ჩაბმას ემუქრება.

ამერიკული გემების მიწოდება ინგლისისათვის

ნიუ-იორკი, 23 იანვარი (საქ-დესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, წარმომადგენელთა პალატის ასიგნობათა კომისიამ მოიწონა რუზველტის წინადადება, რომ საგანგებოდ 313.500 ათასი დოლარი იქნას გაღებული 200 სატვირთო გემის მშენებლობისათვის. მთავრობის საზღვაო კომისიის თავმჯდომარემ ადმირალმა ლენდმა ასიგნობათა კომისიაში განაცხადა: იმედი მაქვს ეს გემები აგებულ იქნება უახლოესი ორი წლის განმავლობაში. შემდეგ ლენდმა განაცხადა: ასეთი მშენებლობა აუცილებელია იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავები და თვითმფრინავები თავს ესხმიან ინგლისის ნაოსნობას. ლენდის სიტყვით, ომის დაწყებიდან წარსული წლის დამლევამდე ჩაძირულია 1.371 გემი, მათ შორის 633 ინგლისისა. კომისიის წევრთა შეკითხვას ლენდმა უპასუხა, რომ საჰაერო თავდასხმის შედეგად ინგლისის გემსაშენთა ზარალი, როგორც ჩანს, „შედარებით მცირეა". ბევრად უფრო დაზარალდა გემთმშენებელ-სარემონტო ქარხნები.

ა. შ. შტატებს იჯარით გადაეცათ ბერმუდის არქიპელაგის ორი კუნძული

ლონდონი, 23 იანვარი (საქ-დესი). კოლონიების სამინისტრო იუწყება: მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მფრინავი ნავების ბაზის ასაგებად 99 წლის იჯარით გადაეცეთ ბერმუდის კუნძულთა არქიპელაგში შემავალი ორი კუნძული—მორგანი და ტაკერი.

ინგლისის კუთვნილი ბერმუდის კუნძულები წარმოადგენენ მარჯნის პატარა კუნძულთა ჯგუფს ატლანტის ოკეანეში. ეს კუნძულები ერთმანეთისაგან ვიწრო სრუტეებით არიან გაყოფილნი და მდებარეობენ ევროპიდან ვესტ-ინდოეთს მიმავალ დიდ საოკეანო გზაზე. კუნძულები ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროს დაშორებული არიან 965 კილომეტრით.

შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრ გიუნტერის სიტყვა

სტოკჰოლმი, 22 იანვარი (საქ-დესი). ამას წინათ ქალაქ ჰალმსტადში შვეციის საგარეო პოლიტიკის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა გიუნტერმა. შვეციის საგარეო პოლიტიკის ამოცანები, სთქვა გიუნტერმა, — რომლებიც უფრო ადრე არაერთხელ ყოფილა დეკლარირებული, — წინანდელი რჩება. შვეციის ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან ნორმალურ და მეგობრულ ატმოსფეროში ვითარდებოდა. ევროპის ომის მთელი პერიოდის განმავლობაში შვეციამ შესძლო შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და არ ჩაბმულიყო კონფლიქტში. მინისტრი შეჩერდა შვეციის პოზიციაზე ფინეთ-საბჭოთა კავშირის ომის პერიოდში და შემდეგ დაწვრილებით გააშუქა შვეციის პოზიცია 1940 წლის აპრილში დანიასა და ნორვეგიაში მომხდარი ამბების დროს. გიუნტერმა განაცხადა: ნორვეგიაში ამტყდარი ომი გერმანია-ინგლისის ბრძოლის ნაწილს შეადგენდა. ამიტომ ჩვენი ნეიტრალიტეტი ნორვეგიაში წარმოებული ომის მიმართ შვეციის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ხაზის მხოლოდ თანმიმდევრული განგრძობა იყო. ნორვეგიაში გაჩაღებული სამხედრო მოქმედების დროს ჩვენ გადაჭრით უარვყავით წინადადება, რომ შვეციით გაგზავნილი ყოფილიყო სამხედრო მასალები ნორვეგიაში მეომარი მხარეებისათვის. მხოლოდ სამხედრო მოქმედების დამთავრების შემდეგ, — განაცხადა გიუნტერმა, — შვეციის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია გადაეწყვიტა თავისი დამოკიდებულება გერმანიიდან ნორვეგიაში სამხედრო მასალების სატრანზიტო გაზიდვისადმი და შვეციით გერმანიის ჯარის გატარებისადმი.

ილაპარაკა რა შვეციის ეკონომიურ მდგომარეობაზე, გიუნტერმა აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ დროს საბჭოთა კავშირთან დაიდო ფართო სავაჭრო ხელშეკრულება, რომელმაც მნიშვნელოვნად უნდა გაადიდოს საქონელბრუნვა ორივე ქვეყანას შორის. დადებულია ხელშეკრულებანი გერმანიასთან და იტალიასთან.

დასასრულ გიუნტერი დაწვრილებით შეჩერდა შვეციის თავდაცვის განმტკიცების საკითხებზე.

„დეილი ექსპრესი" ინგლისში შესასევად გერმანიის სამზადისის შესახებ

ლონდონი, 22 იანვარი (საქ-დესი). გაზეთ „დეილი ექსპრესის" ცნობით, საფრანგეთის ბევრ ნავსადგურში დღემდე თავმოყრილია დიდძალი კარჭაპი, რაც იმას მოწმობს, რომ გერმანელები კვლავ ემზადებიან ინგლისში შესასევად. მაგრამ სანაპირო თავდაცვის ავიაცია გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს ამ სამზადისს, საზვერავ ფრენას აწყობს მთელს სანაპიროზე ნორვეგიიდან ბორდომდე. ინგლისს დაწვრილებითი ცნობები აქვს და იმ შემთხვევაში, თუ გერმანიამ შესევა სცადა, მას შეუძლია დაუყოვნებლივ მიიღოს კონტრზომები.

ჩერჩილის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 22 იანვარი (საქ-დესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება გუშინ თემთა პალატის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა, ინგლისის ომის მიზნების შესახებ მიცემული კითხვის საპასუხოდ, განაცხადა: მთავრობა მზად არის შესაფერ მომენტში გამოვიდეს საჭირო განცხადებით, მაგრამ ახლანდელ მომენტში არაფერი არ შეიძლება დაემატოს ამ საკითხზე წინათ გაკეთებულ განცხადებებსო.

„დეილი უორკერის" აკრძალვის გამო

ლონდონი, 22 იანვარი (საქ-დესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრომ გუშინ რადიოთი გადასცა ცნობა ინგლისის კომპარტიის ორგანოს — გაზეთ „დეილი უორკერის", აგრეთვე ყოველკვირეული ბიულეტენის „უიკის" აკრძალვის შესახებ. აღნიშნავს რა, რომ „დეილი უორკერი" და „უიკი" შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების სამინისტროს მიერ აკრძალულია სახელმწიფოს დაცვის კანონის საფუძველზე, ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ ხსენებულ გამოცემათა აკრძალვის შესახებ ბრძანებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ იმ პირთა მოქმედება, რომლებიც აქვეყნებენ ანავრცელებენ ამ გამოცემებს, ან დაკავშირებული არიან ამასთან, განიხილება როგორც დანაშაული. ეს, — ნათქვამია შემდეგ ბრძანებაში, — ეხება ყოველგვარ გამოცემას, რომელიც კი განაგრძობს აკრძალული გაზეთების ხაზს, რა სახელწოდებითაც უნდა გამოდიოდეს იგი.

აკრძალული გაზეთების სტამბები მომავალში შეიძლება გამოყენებულ იქნან მხოლოდ უმაღლესი სასამართლოს ნებართვით.

შოტლანდიის კომპარტიის საოლქო კონფერენციის რეზოლუცია

ლონდონი, 22 იანვარი (საქ-დესი). 19 იანვარს გლაზგოში შესდგა შოტლანდიის კომპარტიის საოლქო კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა საკითხი მოსალოდნელი დამატებითი საპარლამენტო არჩევნების შესახებ დუმბარტონის საგრაფოში იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტის ლეიბორისტი წევრი კასელი მთავრობამ ისეთ თანამდებობაზე დანიშნა, რომელიც მას იძულებულს ხდის გადადგეს. ამ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ დუმბარტონის საგრაფოს მუშათა ორგანიზაციებმა თავიანთი კანდიდატი უნდა წამოაყენონ. კომპარტია თავის მხრივ ამ კანდიდატს ყოველგვარად დაუჭერს მხარს.

კომუნისტების დევნა საფრანგეთში

ვიში, 22 იანვარი (საქდესი). საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, საფრანგეთის კომპარტიის დაშლის დღიდან პოლიციამ დააპატიმრა 6.084 კაცი, სამართალში მისცა 15.534 კომუნისტი, დაშალა 970 ორგანიზაცია, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ, დახურა 384 გაზეთი და საპყრობილეებში მოათავსა კომპარტიის 2.006 აქტივისტი.

შინაპოლიტიკური მდგომარეობის გამწვავება რუმინეთში

ბელგრადი, 23 იანვარი (საქ-დესი). ბელგრადის გაზეთების „ვრემეს", „პოლიტიკის", „პრავდის" და სხვების კორესპონდენტები იუწყებიან, რომ რუმინეთში ერთობ გამწვავდა შინაპოლიტიკური მდგომარეობა, რაც რკინისგვარდიელთა ოპოზიციური ჯგუფების გამოსვლამ გამოიწვია. 20 იანვარს საღამოს ბუქარესტსა და რუმინეთის სხვა ცენტრებში გაიმართა რკინისგვარდიელთა დიდი დემონსტრაციები. დემონსტრაციებში მონაწილეობას იღებდა 20 ათასზე მეტი კაცი. როგორც გაზეთ „ვრემეს" კორესპონდენტი იუწყება, დემონსტრანტები მოითხოვდნენ ანტონესკუს გადადგომას და წმინდა ლეგიონერული მთავრობის შექმნას. ბელგრადის გაზეთის „პრავდის" კორესპონდენტის ცნობით, რკინისგვარდიელთა მოძრაობას მეთაურობს „რკინის გვარდიის" დამაარსებლის მამა კოდრეანუ. რკინისგვარდიელთა მღელვარება გრძელდებოდა 21 და 22 იანვარს.

ნიუ-იორკი, 23 იანვარი (საქ-დესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბელგრადელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, ბუქარესტში სერიოზული შეტაკება ხდება რკინისგვარდიელებსა და რუმინეთის არმიას შორის. არსებული ცნობებით, ანტონესკუ ცდილობს სამხედრო დიქტატურა დაამყაროს. ამავე ცნობებით, რკინისგვარდიელებმა უკანასკნელი თვის განმავლობაში, როგორც ეტყობა, მოაწყვეს ფარული არსენალები და თავისი ორგანიზაციის წევრები შეაიარაღეს შაშხანებით, ტყვიამფრქვევებითა და ხელყუმბარებით.

ბუქარესტი, 22 იანვარი (საქ-დესი). დღეს რუმინეთის ერთერთმა რადიოსადგურმა, რომელიც როგორც ეტყობა, ხელში აქვთ ჩაგდებული აჯანყებულ რკინისგვარდიელებს, გადასცა მიმართვა არმიისადმი. მიმართვაში აღნიშნულია, რომ რკინისგვარდიელთა შორის არიან მოკლულნი და დაჭრილნი და რომ, მიუხედავად ამისა, რკინისგვარდიელები იარაღს არ დაჰყრიან. ისინი მოუწოდებენ ჯარისკაცებს სროლა არ აუტეხონ აჯანყებულებს.

ბუქარესტი, 23 იანვარი (საქ-დესი). ბუქარესტის რადიომ 18 საათზე გადასცა გენერალ ანტონესკუს მიმართვა მოსახლეობისადმი. მიმართვაში აღნიშნულია, რომ რუმინეთმა „ამ დღეებში მძიმე განსაცდელი გადაიტანა". აჯანყებულებმა სროლა აუტეხეს მინისტრთა საბჭოს შენობას და მთავრობის სხვა შენობებს. საჭირო გახდა რუმინეთის არმიის ამოქმედება.

შემდეგ ბუქარესტის რადიომ გადასცა ანტონესკუს და შინაგან საქმეთა მინისტრ პოპესკუს მიერ ხელმოწერილი საგანგებო დეკრეტი იარაღის სავალდებულო ჩაბარებისა და ყოველგვარი კრების აკრძალვის შესახებ.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა ბრძანება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ლეგიონერთა წრის ელემენტები, რომლებიც ცდებოდნენ" და რომლებმაც რუმინეთში არეულობა გამოიწვიეს, ამჟამად დამორჩილდნენ. მოთავენი დაპატიმრებულ და გასამართლებულ იქნებიან.

ბუქარესტში გერმანელი მაიორის დერინგის მკვლელობის გამო

ბერლინი, 23 იანვარი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ბუქარესტში გერმანელი მაიორის დერინგის მკვლელობის საქმის გამო კვლევა-ძიებამ შემდეგი გამოარკვია: ნაშუაღამევს მაიორი დერინგი მეორე გერმანელი ოფიცრის თანხლებით რესტორან „ბუქარეშტიდან" გავიდა და თავის ოტელისაკენ გაემართა. ამავე რესტორანიდან გამოსული უცნობი მაიორ დერინგს თავს დაესხა და რევოლვერის ექვსი ტყვიით მოჰკლა. მკვლელი შეეცადა მიმალულიყო, მან 200 მეტრი გაირბინა, მეზობელ ქუჩაში შეუხვია და ლამობდა ტაქსით წასულიყო, მაგრამ შოფერმა წაყვანაზე უარი უთხრა. მკვლელი შეიპყრეს და განაიარაღეს რამდენიმე გამვლელმა და გერმანელმა ჯარისკაცებმა. მკვლელს უპოვნეს სან-ფრანცისკოში დიმიტრი სარანდოსის სახელზე გაცემული უვიზო ბერძნული პასპორტი. გამოირკვა, რომ მკვლელი წარსული წლის ოქტომბერში რუმინეთის საზღვარს გადასულა ალეტრინოს სახელზე გაცემული თურქული პასპორტით. მკვლელის დოკუმენტებიდან სჩანს, რომ მას 32 წელი შესრულებია და სალონიკში დაბადებულა. რუმინეთს ჩასვლისას იგი პირველად თავს ასაღებდა მეკრივედ. მკვლელს ერთერთი დიდი ამერიკული ბანკის ჩეკის წიგნაკი უპოვნეს. უკანასკნელ რამდენიმე კვირის განმავლობაში იგი ერთერთ თურქ მოქალაქესთან ერთად ცხოვრობდა ბუქარესტის ერთს ოტელში, რომელსაც ცუდი რეპუტაცია აქვს. მკვლელს უპოვნეს აგრეთვე მრავალი უცხოური წარმოშობის დოკუმენტი, რომელთაგან ორი დოკუმენტი ამ ცოტა ხნის წინათ გამოგზავნილია ინგლისიდან.

მეორე ცნობაში გერმანიის საინფორმაციო ბიურო აცხადებს: მაიორ დერინგის მკვლელობის გამორკვევისთანავე გენერალმა ანტონესკუმ გერმანიის დესპანს აცნობა, რომ მის მიერ გაცემულია ბრძანება, რათა მკვლელის დაკითხვის დამთავრების შემდეგ, იგი სამხედრო სასამართლომ გაასამართლოს და დაუყოვნებლივ დასჯილი იქნას სიკვდილით. გარდა ამისა, ანტონესკუს განკარგულებით დაპატიმრებული არიან ბერძენთა კოლონიის თვალსაჩინო პირნი, რადგან, ცნობის თანახმად, მკვლელი ბერძენი აღმოჩნდა.

როგორც სტეფანის სააგენტო იუწყება, რუმინეთის მთავრობის მოამბე „მონიტორო ოფიჩიალი" დეკრეტს აქვეყნებს, რომლის თანახმადაც რუმინეთში მყოფი გერმანელი სამხედრო პირების წინასწარგანზრახული მკვლელობის ჩამდენი სიკვდილით დაისჯება.

საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო უარყოფს

ათენი, 23 იანვარი (საქდესი). საბერძნეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „დემეტრე სარანტო, რომელმაც ბუქარესტში გერმანელი მაიორი დერინგი მოჰკლა, საბერძნეთის ქვეშევრდომი არ არის და საბერძნეთში მას სრულიად არავინ იცნობს. ზემოხსენებულ პირს ჰქონდა უცხოეთის პასპორტი საბერძნეთის კონსულის სატრანზიტო ვიზით. იგი საბერძნეთში იტალიიდან ჩამოვიდა 1940 წლის 3 ივლისს და საბერძნეთი დასტოვა იმავე თვის 16 რიცხვს".

ოპერა „სამშობლო" თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თეატრში. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) დ. გამრეკელი თამაზის, ა. გოსტენინა ციცინათელას და ნ. ბელაჩკელი გელას როლებში.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XVII წლისთავი თბილისში

21 და 22 იანვარს თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში, წარმოება-დაწესებულებებში, მუშათა კლუბებში, საშენებლო სამუშაოებზე ყველგან ჩატარდა ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საგლოვიარო კრებები.

კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მასწავლებლის სახლში, წითელი არმიის ამიერკავკასიის საოლქო სახლში და სხვ. გაიხსნა დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენები.

თბილისის კინო-თეატრებში ათასობით მაყურებლებს უჩვენებდნენ ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ისტორიულ, მხატვრულ და დოკუმენტურ-ქრონიკალურ ფილმებს. კინო-ფილმების დემონსტრაცია ხდებოდა დილით და საღამოთი. სეანსებს აურაცხელი ხალხი ესწრებოდა.

ლენინის დღეებში აურაცხელი მნახველები ეწვივნენ ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს. 19 იანვარს ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი დაათვალიერა 2.205 მნახველმა, 21 იანვარს—1896-მა და 22 იანვარს—5000-ზე მეტმა მნახველმა. სულ სამი უკანასკნელი დღის განმავლობაში მუზეუმს ესტუმრა 9.100-ზე მეტი კაცი.

ამავე დღეების განმავლობაში აღლაბარის ყოფილი არალეგალური სტამბა დაათვალიერა 1500-მდე მნახველმა.

აურაცხელი მნახველები ჰყავდა ამ დღეებში თბილისის დანარჩენ ისტორიულ-რევოლუციური მნიშვნელობის ადგილებს.

ლენინის დღეებში თბილისში ჩამოვიდნენ ექსკურსანტ-ტურისტთა ჯგუფები ბათუმიდან, ბაქოდან, დონბასიდან და მრავალი სხვა ქალაქიდან.

ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავი ისტორიულ-რევოლუციური ადგილები. თბილისიდან ექსკურსანტთა ჯგუფები გაემგზავრნენ გორში.

სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებელთა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების დირექტორთა პირველი რესპუბლიკური თათბირი

25-26 იანვარს თბილისში გაიმართება რკინიგზისა და სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების დირექტორთა, მათი მოადგილეთა პოლიტიკურ ნაწილში და სასწავლო-საწარმოო ნაწილის გამგეთა პირველი რესპუბლიკური თათბირი. თათბირი **25 იანვარს, საღამოს 7 საათზე** გაიხსნება № 1 რკინიგზის სასწავლებლის შენობაში (საბჭოს ქ. № 234). (საქდესი).

რადიოგადაცემა დღეს

9.00 — „პრავდის" მოწინავე; 9.15 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 9.25—კონცერტი; 10.00—წერილები გაზეთიდიდან; 10.30 — გადაცემა სკოლამდელთათვის — ლ. ჰუჭინაძის მოთხრობა — „კუცია და ხატავერა"; 11.30 — თბილისის ახალი ამბები ქართულ და რუსულ ენებზე; 12.28 — საუბარი ქართულ ენაზე „ვ. კუიბიშევი"; 14.15 — მუსიკალური გადაცემა „ფრანც შუბერტი"; 17.00 — გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე — „გურიის 1841 წლის აჯანყება"; 17.30 — ინფორმაციები; 18.00 — გადაცემა ციკლიდან — მუსიკალური თვითგანვითარების დასახმარებლად—„რა არის უვერტიურა"; 19.20 — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლა; 20.00 — უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება; 20.50 — საკვარტეტო მუსიკის კონცერტი; 21.30 — ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე — „მეფე ერეკლე"; 22.06 — სიმფონიური კონცერტი ქართველ, სომეხ და უკრაინელ კომპოზიტორთა ნაწარმოებიდან; 00.30 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება, ტრანსლაცია მოსკოვიდან.

მწერალთა კლუბში

25 იანვარს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კავშირში (მაჩაბლის ქ., № 13) დამწყებ დრამატურგთა წრის მორიგ მეცადინეობაზე ამხ. ი. იმედაშვილი წაიკითხავს თავის პიესას „ადამიანი". წრის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ვ. გაბესკირიას საღამო

ოთხშაბათს, 27 იანვარს, მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ., № 13) გაიმართება პოეტ ვიქტორ გაბესკირიას შემოქმედების საღამო. ვ. გაბესკირიას პოეზიის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს ივ. წულუკიძე, მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. დასწრება თავისუფალია.

ლექციები და მოხსენებები

25 იანვარს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი შესდგება გარჩევა ამხ. გორგილაძის ლექციისა (ქართულ ენაზე) „საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება".

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ყველა ლექტორის დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

27 იანვარს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, რუსთაველის სახელობის თეატრში შესდგება პროფ. ს. ჯანაშიას ლექცია ქართულ ენაზე, თემა: „ქართველი ერის წარმოშობის ისტორიის საკითხისათვის".

ბილეთის ფასი 1 მან. ბილეთები იყიდება ბერიას სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში დილის 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე და რუსთაველის თეატრის სალაროში დილის 11 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

25 იანვარს, საღამოს 8 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტის დარბაზში (ლენინის ქ., № 11) აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. ქორიძის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „მარქსიზმ-ლენინიზმი — მებრძოლი ათეიზმი".

25 იანვარს, საღამოს 8 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. კიროვის რაიკომის დარბაზში ინტელიგენციისათვის რუსულ ენაზე შესდგება ლექცია თემაზე: „მატერ-ფაშური რეჟიმის დაცემა ა. ს. პუშკინის შემოქმედებაში". ლექტორი ამხ. მენდელი.

27 იანვარს, დღის 2 საათზე, რუსთაველის სახელობის ქართულ-ლიტერატურული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომაზე (მარის ქ., № 14) ამხ. მამია დუდუჩავა წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ახალი ლენინური თეორია და მხატვრული შემეცნების პრობლემები".

დასწრება თავისუფალია.

„თბილისის ქუჩების ისტორია"

თბილისის მუზეუმის დირექტორმა ამხ. ნ. ი. ბადრიაშვილმა დაამთავრა ვრცელი ნაშრომის შედგენა, რომელსაც ეწოდება „თბილისის ქუჩების ისტორია". ნაშრომში ავტორს აწერილი აქვს 251 ქუჩა, აგრეთვე მოედნები, შესახვევები და ხიდები. ამ აღწერილობაში აღნიშნულია ქუჩების წარმოშობის ისტორია, მათი თავდაპირველი სახე, ამა თუ იმ ქუჩაზე მომხდარი ამბები, იქ მოთავსებული ისტორიული შენობები. (საქდესი).

სამხრეთ-ოსეთში

● საოლქო საბჭოს აღმასკომის მეწარმეობებისა გაფორმებულება დაამტკიცა სოფლების პროექტები და ახლო ხანში შეუდგებიან 6 საკოლმეურნეო აბანოს მშენებლობას. აბანოებისათვის საშენებლო მასალა უკვე მომარაგებულია.

● მიმდინარე წლის გაზაფხულზე დამთავრდება 20 კილომეტრის სიგრძის არხის სარწყავი არხის მშენებლობა. იგი მორწყავს სტალინირის, ზნაურისა და გორის რაიონების 4 ათასზე მეტ ჰექტარ ფართობს.

● ამ დღეებში ქ. სტალინირში დაიწყება საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში. იმ მოჭადრაკეებს, რომლებიც შესაძლებელ ქულათა 70 პროცენტს მოაგროვებენ, მიენიჭებათ მეორე ან მე-4 სრულიად-საკავშირო კატეგორია.

„საბჭოთა ხელოვნება"

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" მორიგი მეათე ნომერი. ამ ნომერში მოთავსებულია წერილები: მოწინავე — „დრამატურგიის სადღეისო ამოცანები", დ. ჯანელიძის—„თანამედროვეობა დრამატურგიასა და თეატრში", შ. ბუაჩიძის — „კონკურსის საუკეთესო პიესაზე", ლ. დონაძის — ა. ანდრიაშვილის ოპერა „კაკო ყაჩაღი", ა. ლეჟავაშვილის — „ქიჟანა" მოზარდ მაყურებელთა თეატრში", შ. ალხაზიშვილის — „ი. გოგებაშვილი ქართული ხელოვნების შესახებ", გრ. ჩხიკვაძე — „ქართული მუსიკა" (წერილი მეორე), გ. ბეჟანიშვილი — „დავით ერისთავი" და სხვ. ჟურნალის ნომერი მდიდრულად არის დასურათებული, ყდაზე მოთავსებულია ი. გოგებაშვილის პორტრეტი.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3726035, გაცემული გიორგი ივანეს-ძე აფციაურის სახელზე, პარტბილეთი № 3726026, გაცემული ხეთისო დავითის-ძე არაბულის სახელზე, პარტბილეთი № 3306945, გაცემული მარიამ ალექსის-ასულ ბურდულის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 2166379, გაცემული მიხეილ ივანეს-ძე ჭინჭარაულის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯონიკიძის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 2164449, გაცემული სოლომონ გრიგოლის-ძე პუხაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: საოპერო — „სამშობლო" (მე-2 აქ. მე-7 წარმ.), რუსთაველის სახელობის — „ღალატი", მარჯანიშვილის სახელობის—„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", სახელმწიფო ქართული თეატრი — „ხორუმანი ხალათი", გრიბოედოვის სახელობის — „ურნანი".

კინოებში: რუსთაველის სახ. — „ოქროს გასაღები", დღისით — „თემური და მისი რაზმი", ტექნიკური — „მეოპერები", დამკვრელი — „ცირკი", დღისით — „თემური და მისი რაზმი", კომკავშირელი — „პეპო", ლუქსემბურგის სახ. — „მძლეთ ძლიერი", სპარტაკი — „ჩაპაევი", კულტურის სახლი — „ქალი ხიდობანი", 26 კომ. სახ. — „მეზღვაურები", კომინტერნი — „დიდი ქალაქის ნიავი", განთიადი — „კანტის შვილები", წითელი არმიის სახლი — „მეოთხე პერისკოპი", ვორონცოვის სახ. კლუბი — „ზამთარი", საზაკავკასიოს კლუბი — „სამი ამხანაგი", მეცნიერება და ცოდნა—„სიცოცხლის ძალა".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

საქ. სსრ სახ. დაწესებულების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან არსებული სასწავლო-საწარმოო კომბინატმა „სტენოტიპისტმა"

განაახლა მიღება მემანქანეთა კურსებზე—ქართულ და რუსულ სექტორებზე.

განცხადებები მიიღება 27 იანვრამდე.

პირობების გაგება შეიძლება კანცელარიაში: ჰავჭავაძის ქუჩა, № 1. ტელეფონი № 3-58-00.

17 **დირექცია.**

დედა ვერა, ძმა გიგი გაბლიანები იუწყებიან **ეთერ გაბლიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/I 7½ ს. პაპანინის მესამე ჩიხი. 13. დაკრძალვა 26/I 1 ს. 10432

დეიდა ნინო თევზაძე, ბიძა ილია ადეიშვილი შვილებით ჯანშერით და ბესიკოთი იუწყებიან **ეთერ გაბლიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/I 7½ ს. პაპანინის მესამე ჩიხი, 13, დაკრძალვა 26/I 1 ს. 10432

დედა ოლინკა, მეუღლე ნინო, ალიოშა, ლიუბა, შალვა, მაშო, გარი, გენო მგელაძეები, ლავრენტი როიძე, ოლია ვაშალომიძე ოჯახებით იუწყებიან **ბენია მგელაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/I მაკვანეთში. 10443

დარია ჭანქალეიშვილი შვილებით ნინოთი, თამარით, სიძით მიშა პატარიძით, შვილიშვილებით თეიმურაზითა და ეთერით მწუხარებით იუწყება **სალომე ჭანჭალეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/I, დღის 2 ს. კუკიის სასაფლაოზე.

მამიდა ნატაშა ტერნოვი ქმრით სერგეით, შვილებით გოგით, ოთარით, ძალი ვარო შვილებით იზოლდათი, უშანგით იუწყებიან **ზურაბ მიხეილის-ძე კანაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/I 7 ს. ახალ-არსენალის, 13. 10433

მეუღლე ვერა, შვილები გიორგი, ოთარ, ძმისწული სანდრო ჩარბაძე, ნათესავები ცოლშვილით იუწყებიან **ილია სოლომონის-ძე ბექანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/I 8 ს. გამოსვენება 26/I 4 ს. ნოხის, 2 პეტრიაშვილის სასაფლაოზე. 10427

გოგი და ქეთინო ტაბატაძეები შვილებით იუწყებიან დედის **სოფიო პეტრეს-ასულ ტაბატაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 26/I 1 ს. ქ. ხაშურში, თავისუფლების, 45. 10413

დები დარია ლომიძე, ანა ბაბუციძე ქმრით კოტეთი, შვილით კუკურით იუწყებიან **სოფიო იაკობის-ასულ საბაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/I 7 ს. გამოსვენება 26/I 3 ს. ნორიოს აღმართი, 11. 10428

მეუღლე ანა, შვილები ვენერა, კოლია, გურა, ვალოდია, სიძე გ. გოგოძიძე, რძლები, შვილიშვილები იუწყებიან, რომ 26/I 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ალექსანდრე სოლომონის-ძე აბულაძის** პანაშვიდი. 10419

სამზოოროსპოლომკავშირის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება თანამშრომლის **ნიკო ვასილის-ძე მჭედლიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 26/I 2 ს. საბჭოს, 65, კუკიის სასაფლაოზე. 10442

მშობლები ვერა, ვლადიმერ, ბებიები ოლიმპიადა, პელაგია, დეიდები ნადია, დუსია, მამიდა ნინო ქმარ-შვილით, და შურა, ძმა ვალენტინ იუწყებიან **ზოია ცაგარეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/I ს. გორა-ჯიხაიშში. 10438

მეუღლე ერმალო, შვილი ვახტანგ დადიძეები უახლოესი ნათესავებით იუწყებიან, რომ კვირას 26/I 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ანასტასია (ტასურა) სოფრომის-ასულ დიდიძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 10434

მშობლები გრიშა, ლუბა, ძმა გივი გამსახურდიები იუწყებიან, რომ 26/I 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **პატარა ნოდარის** სამოქ. პანაშვიდი. 10429

მშობლები ლუბა, ლეონტი, დები ქეთო, კლარა ქმარშვილით, ძმა ტოგო ცოლშვილით ფარცხალაძეები იუწყებიან, რომ 26/I 4 ს. ბათუმში სოფელის სასაფლაოზე დანიშნულია **ნინო ლეონტის-ასულ ფარცხალაძის** პანაშვიდი. 10420

ცოლი დარია, შვილები ანიკო, მარო, საშა, გიგო, ელო, თამარ, ეთერ, რძლები ნატაშა, ჭუნია, სიძე კოლია იუწყებიან **იოსებ სოლომონის-ძე ბითაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხაშურში. 10444

ქმარი ლადო, დედა ცუცუ შვილებით, გრიშა, ბაბუცა, ფაცი, ნატაშა, ვანო სანაძეები შვილებით იუწყებიან, რომ 26/I 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ქუკური ჯანელიძის** პანაშვიდი. 10441

ერქომაიშვილი, ნატროშვილი, ჭუმბურიძე, დოლიძე, როსტიაშვილი, გოგიტიძე, ჩხეიძე, გოცირიძე, ქურიძე, გურგენიძე, ბერიშვილი, ნაკაიძე, ჯღარკავა იუწყებიან **ვასასი მაჭავარიანის** გარდაცვალებას. 10448

მეუღლე ოლია შვილებით: ელენე, ქეთო, გიორგი, ზინა, შოთა, მერი, გულნარა, ლამარა, მაგული, სიძეები ბ. კონსტანტინოვსკი, ნ. ბურჯანაძე, შვილიშვილები იუწყებიან **ვასილ ფურცხვანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/I 7 ს. გოგებაშვილის, 31. 10430

დედისშვილები დიმიტრი ცოლით ნინოთი, მარო და ცაცა გოგუაძეები იუწყებიან სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტის **ვანო კალისტეს-ძე ლომაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/I ქ. მახარაძეში. 10422

თბილისის მე-14 საშუალო სკოლის მასწავლებლები და სკოლის მუშაკები იუწყებიან **ეთერ გაბლიანის** გარდაცვალებას. 10445

მეუღლე მარიამ, შვილები გიორგი, გუგული, ლოლა, თინა ასათიანები იუწყებიან **მიხეილ ლუკას-ძე ასათიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/I 6 ს. გამოსვენება 26/I 3 ს. ვორონცოვის, 1, ვაკის სასაფლაოზე. 10447

შვილი თამარ, ძმა ილია, რძალი ოლღა შვილებით და რძლებით როზმაძეები იუწყებიან, რომ 26/I 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ოლღა ანდრიას-ასულ ოქროპირიძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 10436

შვილები არკადი, დიომიდე, სვეტლანა, ნინო, რძლები ზინა, ლიდა, მარო ჭანქალეიშვილები შვილებით, სიძე ჯაფარიძე შვილებით იუწყებიან **სალომეს** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/I 7 ს. გამოსვენება 26/I 2 ს. ლოტკინის, 24, კუკიის სასაფლაოზე. 10431

მეუღლე ალიოშა ბუკია შვილით პატარა ლიანით იუწყება **ნუცა ალექსანდრეს-ასულ გეგეჭკორი-ბუკიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/I ქ. ფოთში. 10424

ქმარი იაკობ, შვილები სანია, ანიჩკა, ნინო, მარო, ლუსია, ალექსანდრე, ეურა ცოლით ოფელიათი, შვილიშვილი ივეტა იუწყებიან, რომ 26/I 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ვარვარა ივანეს-ასულ ბერუჩაშვილის** პანაშვიდი. 10440

ბიძა ლეონ, ბიცოლა თამარ, ბიძაშვილები ნაზიკო, ლიანა რუსიძეები იუწყებიან **ქეთო მელიტონის-ასულ რუსიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/I ს. ორმეთში (ლანჩხუთის რ.). 10439

მშობლები კირილე, თამარ, ცოლი იულია, და შურა, ძმა უშანგი მაღრაძეები იუწყებიან **ევგრაფი კირილეს-ძე მაღრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/I 4 ს. ს. მარელისში. 10437

დედა ნინო, დები მუსია, ლუნა, ძმა მიტო, სიძე ეურა ბურკაძე იუწყებიან, რომ 26/I ქრისტიანულ ძმათა სასაფლაოზე დანიშნულია **ლალია არისტიდის-ასულ ქუსიკის** სამოქალაქო პანაშვიდი. 10435

მედეა და ნელი კრავეიშვილები იუწყებიან დეიდაშვილის **ეთერ გაბლიანის** გარდაცვალებას. 10421

მშობლები მარო, იასონ, დები ნათელა, ნორა, რძალი ვენია, ძმები შალიკო, გრიშა, ეურა იუწყებიან, რომ 26/I 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **გივი (ლუტუშა) ჟორჟოლიანის** სამოქ. პანაშვიდი. 10425

მამამთილი ქოლია ჩხეიძე შვილებით: ქეთინო, ბეჟან, მალალო იუწყებიან **სოფიო პეტრეს-ასულ ტაბატაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 26/I 1 ს. ქ. ხაშურში, თავისუფლების, 45. 10426

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3—62—26; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—89; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის 3—81—84; სასოფლო-სამეურნეოს— 3—73—40; ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროს — 3—57—61; წერილების—3—73—24; პ.-მგ. მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. 1 უე 5948